პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

1934 წ. ნოემბერი
პარიზი

№ 48

1934 — NOVEMBRE
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა :: «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

საგარეო პოლიტიკისათვის

1. რუსეთის პერსპექტივები.

რუსეთის შემოსვლა ევროპის კონცერტში, საბჭოთა კავშირის პსევდონიმით, სამართლიანათ იპყრობს საერთო ყურადღებას. რა მოაქვს, რა შეძლების პატრონია, რა ღირსების მტერი ან მოყვარეა —ყოველ მხრივ კითხულობენ და პასუხს ეძებენ. საერთო ტონი ამ მაძიებელთა ოპტიმისტურია, რუსეთი დიდძალათ დასახულია და მისი მოყვრობა მომგებიანათ გამოცხადებულია. მას ეპატიჟებიან მარჯვნიდან და მარცხნიდან, ფაშისტი და ლიბერალი, სხვადასხვა მდგომარეობის და მოკაზმულობის თავბრუ დახვეული მოარშიყენი. ზოგი აქებს მის სამხედრო ძლიერებას და მისგან გამოელის გადამჭრელ დახმარებას, ზოგი იწონებს მის საშინაო შემოქმედებას, მის სამრეწველო და სამეურნეო აღმშენებლობას და მას აღიარებენ მისაბაძ მაგალითად. ამ საერთო აღტყინებაში ჭარბობს პირველი ტონი, თითქმის უდაოთ აღიარებული, ხოლო მეორე კი იწვევს დიდ წინააღმდეგობას დასავლეთის მუშათა კლასში და ჯერ-ჯერობით რჩება ხმად მცირეოდენი გზადაბნეული სოციალისტებისა. მაგრამ ამ ოპოზიციურ ფენებშიაც სჯერათ დედა-მიწის ერთი მეექვსედის საგარეო ძლიერება და საერთაშორისო ასპარეზზე მისი უდიდეს ფაქტორათ გადაქცევა.

და ისმება საკითხი: რა არის ამაში მართალი, რა გადაჭარბებული, რა სავსებით ყალბი. ამ საკითხის გათვალისწინება მოგვცემს საშუალებას გავიგოთ რუსეთის პერსპექტივები, მისი აუცილებელი საგარეო ხაზები და ობიექტიური სავალი გზები.

ხალხი თავის თავს ვერ გადაახტება, რაგინდ იხტუნოს თავისი ისტორიული კალაპოტიდან ვერ ამოვარდება. საბჭოთა რუსეთმა საკმაოთ ახტა-დახტა, ძველ მოვლენებს ახალი სახელები უწოდა, ყოველნაირი პსევდონიმები გამოიგონა, მაგრამ წარსულის ბრჭყალებისაგან ვერ განთავისუფლდა, კვდარმა ცოცხალი ხელიდან არ გაუშვა. მართალია პოლიტიკური ფორმა შეიცვალა, მაგრამ მისი შინაარსი არ შეცვლილა, მისი მეთოდები ძველის ძველია, მისი ობიექტი იგივე დამონებული ხალხია. მაღლა ყოვლად შემძლე ხელისუფლება, დაბლა უფლება აყრილი ქვეშევრდომნი, შუაში გარყვნილი ბიუროკრატია—ძველი წყობა ახალ ქერქში პირწმინდათ განმეორებულია.

ასეთ პირობაში, თავისთავათ ცხადია, რომ ძველი საგარეო ხაზები, პეტრე დიდის მიერ აღმართული დროშა და მის მიერ დატოვებული ანდერძი—პროგრამმა ამ დროშის გასამარჯვებლათ დარჩა ურყევათ როგორც მეფეთა, ისე კომისართა რუსეთისათვის. ერს პოლიტიკას უკარნახებს მდგომარეობა და არა რეჟიმი, არა მმართველთა სურვილები.

რაკი ბოლშევიკები გახდენ წარსულის ტყვენი, მათი მთავარი საქმიანობაც ამ წარსულის სამსახურში უნდა გამოხატულიყო. მათ ყველაფერი დაანგრიეს, ვერც ერთ დარგში თავისი საშინაო პოლიტიკისა გამარჯვება ვერ მოიპოვეს, გარდა ერთად-ერთი დარგისა, რომელშიაც უეჭველია დიდი მიღწევები აქვთ. ეს დარგია სამხედრო უწყება, განსაკუთრებით მისი მატერიალური და ტეხნიკური ნაწილი. არასოდეს არ ყოფილა ასე განვითარებული რუსეთის სამხედრო ინდუსტრია, ყველა მისი მრავალფეროვანი ნაწილებით, როგორც დღეს არის; ხოლო არა-სამხედრო მრეწველობა აწყობილი და დაწყობილია ისეთნაირათ, რომ ოცდაოთხ საათში გადაიქცეს სამხედრო ამოცანების დასამუშავებლათ. ურალის იქით და აქეთ ახლათ აგებული ქარხნები მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზანს ისახავს. ის აუარებელი ჰაეროპლანები, ჰაეროდრომები და თოფ ზარბაზნები, რაიცა დღეს ყოველ დღე უხვათ ცხვება მოწმობს სამხედრო მრეწველობის დიდ ნაყოფიერებას. ნიკოლოზის რუსეთს არ ქონდა ნახევარი იმ ტეხნიკური სამხედრო შესაძლებლობის, რაიცა აქვს საბჭოთა რუსეთს. ის, დღეს კბილებამდის შეიარაღებული, წარმოადგენს უდიდეს მილიტარისტულ სახელმწიფოს. ამას მიუმატეთ ახალი სტრატეგიული გზები—მეორე რკინის გზა ციმბირისკენ, თურქესტანით, აქვე საავტომობილო გზები, დასავლეთით სანაოსნო არხი პეტერბურგ თეთრ ზღვას შორის, უკანასკნელათ ზღვის გზის გამონახვა ვლადივასტოკიდან ლაგოდამდე, და სხ. და სხ. მოწმობს ფართეთ გამოფიქრებულ და დაწვრილებით დაგეგმილ მილიტარულ მზადებას.

საბჭოთა მთავრობას არ აჩერებს ხარჯვაში არავითარი საბიუჯეტო მოსაზრება; ის ამ მხრით სრულიად თავისუფალია; მცხოვრებთა მთელი ნაშრომი, ისე როგორც მათი პიროვნება მის სრულ განკარგულებაშია. გადაახდიებს რამდენიც მოესურვება, ამუშავებს რამდენიც მოეპრიანება. ამით ის დიდათ განსხვავდება ყველა სხვა მთავრობათაგან, რომელნიც იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას და მის ნება-სურვილებს. პეტრე პირველის შემდეგ მოსკოვის ხელისუფლება არ ყოფილა ისეთი აბსოლიუტური გამკარგულებელი ერის მთელი ავლა-დიდების, როგორიც არის დღეს. ეს შესაძლებლობა ახლაც, ისე როგორც წინეთ, გამოყენებულ იქნა უმთავრესათ სამხედრო მიზნების მისაღწევათ, საგარეო ხაზებზე გასამაგრებლათ. როგორც პეტრეს დროს ძალით სამუშაოზე გაწვეული აუარებელი ხალხი იღუპებოდა, ისე ახლაც, იმ განსხვავებით რომ დღეს ხალხი გაცილებით უფრო მოძულებული, დევნილი და პატივაყრილია, ვინემ ოდესმე იყო. მარტო ერთი არხის გათხრაზე დაიღუპა გაცილებით მეტი ადამიანი, ვინემ პეტრეს მთელ მეფობაში.

ყველა ეს სამხედრო მიღწევები გამოფიქრებული იყო არა ბოლშევიკების, არამედ მეფეთა მიერ. ეს გეგმები დიდი ხანია განისვენებდენ მთავრობის არქივებში, უსახსრობის გამო შეუსრულებელი; საბჭოებმა ის ამოალაგეს მტვერიანი ყუთებიდან და განახორციელეს. მეფეები დიდი ხანია ცდილობდენ ომის დროს ყოფილიყვენ თავისუფალი მარილის და რკინის შემოტანისაგან შვეცია-გერმანიიდან. ეს იდეალი მხოლოდ ბოლშევიკებმა შეასრულეს. წინანდელი მთავრობათა ოცნება და პლანები ბალტიის და თეთრი ზღვის წყლით შესაერთებლათ სისრულეში იქნა მოყვანილი დღეს. მისი მნიშვნელობა მთავრობამ დაახასიათა არხის გახსნის დღეს 17 ავვისტოს 1933 წ. როგორც «უდიდესი გამარჯვება ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე და გამაგრება ქვეყნის სამხედრო ძლიერების». თეთრ ზღვაში ერთათ-ერთი გაუყინავი ნავთ სადგური მურმანსკი ხდება ფინლიანდიის და სკანდინავიის ჩრდილოეთით მოსარებ გზა და ხიდათ.

შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირის სტრატეგიულ ხაზებზე, გაწეულია უდიდესი შრომა ამ ქვეყნის სამხედრო სიმაგრეთ გადასაქცევათ. ამ სიმაგრის ადგილობრივი წარმოებით უზრუნველსაყოფათ აქ შენდება მძიმე ინდუსტრია, ფაბრიკები ტანსაცმლის და ფეხსაცმელის დასამზადებლათ; აშენებენ ახალ რკინის გზებს და სხ. აქ აღსანიშნავია ერთი არაჩვეულებრივი ზომა—ჯარის უზრუნველყოფა ციმბირისავე სანოვაგით, რუსეთიდან შემოუტანელათ. ამ მიზნით შიდა გუბერნიებიდან გადაყავთ რამოდენიმე ასი ათასი გლეხი და ასახლებენ ნაწილს რკინის გზების გასწვრივ, ნაწილს მანჯურიის საზღვრებთან. მათი ნაშრომი ჯარის კვების მთავარი წყაროა.

რუსეთი გახდა და ყოველ დღე ხდება მრისხანე მილიტარულ სახელმწიფოთ.

ამ სამხედრო აღმშენებლობის გვერდით ვითარდება ნაციონალისტური და მილიტარისტული სულისკვეთება გაბატონებულ წრეებში. ძველი სიამაყე, «ქუდებით მოვერევითო», კვდრეთით დგება და ბრძოლის აღტყინებას ემსახურება. კომუნისტური პარტიის მთავარ ორგანოს «პრავდაში» პირველათ წელს გაისმა პატრიოტული ჰანგები და დეზერტირების წინააღმდეგ გამოცემულ დრაკონური წესების გამოცემის გამო დაიწერა შემდეგი: «სამშობლოს დაცვა არის სიცოცხლის უმაღლესი კანონი. სამშობლოს სიყვარულს დედის ძუძუსან სწოვენ ჩვენი შვილები. რუსის ხალხი ცხოვრობს იმ მიწაზე, სადაც დაიბადა, სადაც თავისი ბავშობა და ახალგაზდობა გაატარა და რაც მის მომავალს შეადგენს» და სხ. ლენინის ინტერნაციონალიზმი დატოვებულია სავსებით, სტალინის «ერთი ქვეყნის სოციალიზმი» რუსული ნაციონალიზმის ფუძეა. მისი ლოზუნგი, «ჩვენი ორიენტაციაა მხოლოდ საბჭოთა კავშირი», ითარგმნება მხოლოდ ერთნაირათ: «რუსეთი, რუსეთი, ყველაზე მაღლა, ყველაზე მაღლა მთელ ქვეყანაში». ნაციონალური «სოციალიზმი» გამარჯვებულია, ინტერნაციონალური დამარცხებულია. ძველ ფრაზეოლოგიას კიდევ არ ეყრება მხოლოდ «ძველი გვარდია», რომელიც თანდათან მცირდება რიცხვით და სუსტდება გავლენით. საკმარისია ამ ძველი ნაშთის გადარეკა, რომ მის ქვემოდან ამოძვრეს დიდი ფენა ახალი ხალხის, აშკარა ნაციონალისტური დროშით და იდეოლოგიით. ნაციონალ-სოციალიზმი დიდ ხანს იქნება იმ სანატრელ დროშათ, რომლის კალთებს ქვეშ იწარმოებს რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა.

როგორც ხედავთ, რუსეთს აქვს ჩინებული პერსპექტივები საერთაშორისო ასპარეზზე. ის მზათ არის აწარმოვოს აგრესიული პოლიტიკა, მზათაა ტეხნიკურათ, მილიტარულათ და იდეოლოგიურათ. ნაციონალიზმის მატარებელი კადრები, ხელმძღვანელები და ამსრულებელნი მოწყობილი და გაწრთვნილია.

რა აკლია ამ მორთულ სურათს? აკლია ერთი რამ, რაც მიუცილებელია, მთავარია და რაც სწყვეტს მთელი პოლიტიკის ბედ-იღბალს, ის რაც ავითარებს სამხედრო ინდუსტრიას, ძირს უთხრის ამ ინდუსტრიის პოლიტიკურ და სამხედრო ფაქტორათ გადაქცევას. რაც მას აშენებს, ის მას აქცევს. ხალხის გაბმა ამ ეგვიპტის უღელში ძალათ, მის დაუკითხავათ და ნებადაურთველათ, მისი ყველა სასიცოცხლო ინტერესების გათელვით, აპირდაპირებს ამავე ხალხს საბჭოთა მთავრობისადმი და ქმნის მისგან შეური გებელ სამტრო ბანაკს. მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლებას აკლია ხალხის თანაგრძნობა. და ეს ასე იყო ყოველთვის, ყველა ეპოქაში და საზოგადოებაში, სადაც კი მონური შრომის პირობები დაწესდებოდა და მართველი წრე მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას ხმლით დაიმორჩილებდა. მონა არასოდეს არ ყოფილა ბატონებისათვის საიმედო გაჭირებაში, მაგრამ ძველათ ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ნახულობდენ და მით მონურ წყობილებას ახანგრძლივებდენ. ეს გამოსავალი იყო ერთი: მონას და ყმას აკრძალული ქონდათ იარაღის ტარება და ომში მონაწილეობის მიღება. მეომარი ჯარები დგებოდა თვით პრივილეგიური კლასებიდან. დღეს კი, კომუნისტებმა მონობა დაამყარეს, მაგრამ თვითონ არ ძალუძთ საომარი არმია თავის წრიდან გაიწვიონ და იძულებულნი არიან საჭირო ჯარი მონებისაგან შეადგინონ და თვითონ მათი მეთაურობით დაკმაყოფილდენ. აქედან წარმოიშვა ძირითადი პრობლემა: რა გზით შეიძლება ხალხის შემორიგება და მისი ჩაბმა იმპერიალისტურ პოლიტიკაში. კომუნისტურ ახალგაზდობაში ეს პრობლემა დასმულია დიდი ხანია და პასუხიც ბოძებულია—გლეხისათვის კერძო საკუთრების დაბრუნება, შრომის განთავისუფლება, ეკონომიური დემოკრატიის მიღება; ე. ი. სახელმწიფო კაპიტალიზმის დაყრდნობა წვრილ საკუთრებაზე. ეს გვარიან საზრიანათ გამოფიქრებული მალამო ანელებს უეჭველია ხალხის ანტაგონიზმს და გადაყავს ის შერიგების გზაზე. ყველა მთავრობა ცდილობს თავისი საგარეო პოლიტიკა დააყრდნოს ორ ფაქტორს, ტეხნიკურ საშუალებებს და ხალხის თანაგრძნობას. საბჭოთა მთავრობის ანგარიშიდან ეს მეორე მომენტი დღეს სავსებით გამორიცხულია და მაშასადამე ამ მთავრობაზე სამხედრო იმედების დამყარება—ქვიშაზე აგებული შენობაა. მაგრამ როგორც კი ეს მეორე ფაქტორი რუსეთის პოლიტიკაში შესაფერ ადგილს დაიჭერს და ამის თანახმათ მოხდება ცვლილება პოლიტიკურ ზედ-შენობაში, ცხადია მდგომარეობა სავსებით ახალი სახის გახდება და ძალთა განაწილება ყველა სფეროში გადასხვაფერდება. ამ ნიადაგზე აგებული ხელისუფლება იქნება ნაციონალური ხელისუფლება, რაზედაც ოცნებობენ რუსის ემიგრანტული ფენები, შეიარაღებული ერთი მხრით არსებული ვეებერთელა ტეხნიკური საშუალებებით და მეორე მხრით გლეხობის თანაგრძნობით. დღევანდელი განვითარებული სამხედრო ინდუსტრია გადაიქცევა ცოცხალ, პოლიტიკურ, ძალათ და გამოიჭედება მძლავრი დიდი რუსეთი, საშიშარი ყველა ახლობელი თუ შორეული მეზობლისათვის.

მაგრამ აქაც, ამ გამართულ გზაზე, მაინც რჩება ერთი დიდი დაბრკოლება, რომლის გადალახვაზე დამოკიდებულია იმპერიალისტური რუსეთის ბედი. ეს დაბრკოლებაა რუსეთის ფარგალში მოქცეული არა რუსები, რომელთა რიცხვი უკანასკნელი აღწერით უდრის 48 პროცენტს მცხოვრებლებისას. ეს ამოდენა გამოღვიძებული და ნაციონალური აღორძინების მოტრფიალენი დარჩებიან მუდამ ოპოზიციაში მოსკოვის მთავრობის მიმართ და დაიჭერს მის ცალ ხელს. გაჩაღდება შინაური საერთაშორისო ბრძოლა, მსგავსათ ძველი ავსტრო-უნგრეთის, და გადაელობება წინ მართველთა საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამ კვანძის გახსნა მოსკოვს არ შეეძლება იმ უბრალო მოსაზრებით, რომ მისი გახსნა ნიშნავს რუსეთის იმპერიის დანაწილებას ნაციონალურ ერთეულებათ და მაშასადამე თვით იმპერიის გაქრობას. გლეხობის დაკმაყოფილება გაცილებით უფრო ადვილია, ვინემ ერების.

ამ ნაირათ, საბჭოთა რუსეთი სწრაფი ნაბიჯით ვითარდება მილიტარიზმის და ნაციონალიზმის მიმართულებით. ის იძულებული გახდება საგარეო გეგმის გასახორციელებლათ მიიღოს ზომები რუსის ხალხის შემოსარიგებლათ და გადაიქცეს მრისხანე ბატონათ არა-რუსი ერების შიგნით და მუქარათ გარეშეებისათვის.

შეუძლია კი მას ჩაეტიოს არსებულ საზღვრებში და დაკმაყოფილდეს თავდაცვის პოლიტიკით? არა, არ შეუძლია. რატომ—ამაზე მეორე წერილში.

ნ. ჟ.

◆

კარლ კაუცკი

16 ოქტომბერს კარლ კაუცკის 80 წელი შეუსრულდა. კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის მიმდევართა შორის არც წარსულში და არც ეხლა არ მოიპოვება მეორე პიროვნება, რომელსაც სოციალისტური აზროვნების განვითარებისათვის იმდენი ღვაწლი და შრომა მიუძღოდეს, რამდენიც მთელი ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში წილათ კარლ კაუცკის ხვდა.

კაუცკი პირადათ იცნობდა მარქს და ენგელს და მათთან ახლო დამოკიდებულებაში იყო. მან პირველ წყაროებიდან შეითვისა მარქსისტული მოძღვრება და მის პოპულიარიზაციას ეწევა ეს 50 წელიწადია.

დღიდან დაარსებისა, 30 წლის განმავლობაში, ის მეცნიერულ მარქსისტულ ჟურნალის «ნოიე ცაიტ»-ის რედაქტორი და თანამშრომელი იყო და იქ მისი წერილებით მან მსოფლიო სოციალისტურ აზროვნების გარკვევა-განმტკიცებას უდიდესი სამსახური გაუწია. ბევრი თაობები აღზრდილა მის ნაწერებზე და მისი აზრები შეუთვისებია. სოციალისტურ ინტერნაციონალს დღეს არ მოეპოვება კარლ კაუცკისთანა მეორე ცნობილი, ავტორიტეტული და დამსახურებული მოღვაწე.

ვინც, თუ გინდ ნაწილობრივათ, იცნობს კარლ კაუცკის უამრავ ნაწერებს, მისთვის ნათელია, რომ ის უაღრესათ სწავლული და დიდი ერუდიციის მქონე პიროვნებაა. მისთვის ბუნების მეტყველება, ბიოლოგია, კლასიკური თუ ახალი ფილოსოფია ისეთივე ადვილი მისაწდომი დარგებია, როგორც სოციოლოგია, ისტორია და პოლიტიკური ეკონომია.

კარლ კაუცკი არ არის მარქსიზმის უბრალო პოპულიარიზატორი. ის ამავე დროს უაღრესათ ორიგინალური მოაზროვნეა. ვისაც კი წაუკითხავს მისი ორი ვეებერთელა ტომი ისტორიულ მატერიალიზმზე, რომელზედაც მან 25 წელიწადი იმუშავა და მასალები აგროვა, ის დაინახავდა, რომ კაუცკი ამ შრომაში ხსნის და ანვითარებს არა მხოლოთ მარქს-ენგელსის დებულებებს, რომელიც უმთავრესათ სოციოლოგიის სფეროს ეკუთვნის, არამედ ის იკვლევს და იძიებს საზღვარს ბიოლოგიის და სოციოლოგიის შორის, რაზედაც მის წინეთ არც მარქს-ენგელს და არც სხვა მათ მიმდევრებს არ უმუშავნიათ.

კაუცკი ძლიერ კარგათ იცნობს რუსეთის ცხოვრებას, მის წარსულს და აწმყოს. მას ახლო უდევნებია თვალყური და ხშირათ თავისი აზრიც გამოუთქვამს რუსეთში სოციალიზმის წარმოშობა-განვითარების შესახებ. განსაკუთრებით ხშირად სწერს ის რუსეთის შესახებ მის შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, იქ დიქტატურა დაამყარეს და მარქსიზმის მოძღვრება წარყვნეს. და როცა სოციალისტურ ინტერნაციონალში ბოლშევიკებს გამოუჩნდენ დამცველები, ზოგიერთებმა მათი აზრებიც კი გაიზიარეს და ბოლშევიზანობა დაიწყეს, ამას კაუცკი თავიდანვე სასტიკათ შეებრძოლა და მას ეს ბრძოლა და წინააღმდეგობა დღემდინ ოდნავადაც არ შეუნელებია. კაუცკი, როგორც წინეთ, ეხლაც ენერგიულათ ამტკიცებს, რომ დემოკრატია არა მხოლოთ გზაა სოციალიზმისაკენ, არა მხოლოთ საშუალებაა, არამედ ჩვენი მიზნის—სოციალიზმის ინტეგრალური ნაწილია. სოციალიზმს არ შეუძლია უდემოკრატიოთ არსებობა და გარდა დემოკრატიისა სხვა გზაც არ არსებობს სოციალიზმისაკენ; დიქტატურა კი ჩვენი გზა არ არისო.

კაუცკი სასტიკათ ებრძვის აგრეთვე ბოლშევიზანების იმ აზრს, ვითომც დღევანდელი ბოლშევიკური რეჟიმი რევოლიუციათ ჩაითვლებოდეს და ყოველივე ცდა ბოლშევიკების შეცვლისა და გადაგდებისა ვითომ რუსეთში უთუოთ რეაქციას გამოიწვევდეს. წინააღმდეგ ამისა კაუცკი ფიქრობს, რომ სულ ადვილი შესაძლებელია რუსეთში ანტიბოლშევიკურ დემოკრატიულ ხალხოსნურ მოძრაობამ გაიმარჯვოს და ასეთ რამეს ის დიდი თანაგრძნობით უყურებს. ბოლშევიზანებს გონიათ, რომ ბოლშევიკების გადაგდება, საიდანაც ეს არ მოდიოდეს, გამოიწვევდა რეაქციის გაძლიერებას ევროპაში, კაუცკი კი წინააღმდეგშია დარწმუნებული და ამტკიცებს, რომ თვით ბოლშევიზმის არსებობა ზრდის და კვებავს მსოფლიო რეაქციას; მისი წაქცევა კი იქნებოდა

უდიდესი ლახვარი ყველა რეაქციონურ და ფაშისტურ ძალებისათვისო.

კაუცკის არ სწამს არც საერთო ფრონტი კომუნისტებთან. მისი აზრით ამ საერთო ფრონტის მტერი მოსკოვში იმყოფება. პროლეტარიატის საერთო ფრონტი შეუძლებელია აღდგენილ იქნას, სანამ სოციალისტური პარტიები დემოკრატიის ნიადაგზე დგანან, რუსეთს კი მართავს დიქტატურა, რომელსაც სურს მსოფლიო პროლეტარიატი დაიქვემდებაროს და თავისი დირექტივების მიხედვით ათამაშოს. საერთო ფრონტი მხოლოთ მაშინ შეიქნება როცა რუსეთში დიქტატურა მოისპობაო.

ყველა დამონავებულთა და ჩაგრულთა მექომაგე კარლ კაუცკი დიდი მეგობარია დღეს უცხო უღლის ქვეშ მყოფ და უცხო ძალების მიერ დაპყრობილ საქართველოსა. მას ჩვენს შესახებ, ჩვენ სასარგებლოთ და ჩვენი ქვეყნის თავისუფლების აღსადგენათ ბევრი უწერია ევროპის პრესაში. ღრმა და დიდია ის სიყვარული, რომელსაც კაუცკი დღემდინ იჩენს ჩვენი ერისადმი. პირად და კერძო შეხვედრების დროს ის მუდამ იგონებს მის ქართველ ნაცნობ-მეგობრებს, უდიდესი ყურადღებით ეპყრობა ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას და იმედით შეჰყურებს მის მომავალს.

საკვირველია, რომ 80 წლის ადამიანს ასე მთლიანათ შენარჩუნებული აქვს გონების მთელი სიფხიზლე და შრომის დიდი უნარი. ის ეხლაც, როგორც ყოველთვის წინეთ, ყოველ დილით ადრე იწყებს თავის მუყაით და დაუღალავ მუშაობას და მუშათა კლასს ხელში მუდმივათ ანთებულ ლამპარით გზას უნათებს და ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

თუ კარლ კაუცკი 80 წლის არის, მისი ცხოვრების გრძელ მანძილზე მის საუკეთესო მეგობარს, მის მუდმივ თანამშრომელს, მის მეუღლეს—ლუიზას, ამ ჩვენ ერთგულ მეგობარს გასულ აგვისტოში 70 წელი შეუსრულდა.

დღეს მათ ორთავეს ჩვენ საუკეთესო სურვილებს მიუძღვნით და ყველა ჩაგრულთა და დამონავებულთა საკეთილდღეოთ დღეგრძელობას და ჯანმრთელობას უსურვებთ.

◆

დიქტატურა და ამერიკის დემოკრატია

დღეს, როცა მსოფლიო ეკონომიურ და პოლიტიკურ პრობლემების შესახებ ასე ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ, რუსეთში, გერმანიაში, იტალიაში და ამერიკაში არსებულ რეჟიმს ხშირათ ერთ და იმავე დონეზე აყენებენ და ამ ქვეყნებში ამა თუ იმ საკითხების გადასაჭრელათ და მოსაგვარებლათ მიღებულ ზომებთა შორის პარალელს ავლებენ.

დიქტატურის პრინციპის მომხრეთ და მქადაგებელთ სურთ დემოკრატიული ამერიკა ყველას ფაშიზმის და დიქტატურის ქვეყნათ დაუსახონ და მით დემოკრატიული რეჟიმის უსუსურობა და უილაჯობა დაამტკიცონ. ასეთი ცდა კი ყოვლათ უნაყოფოა და მას არავითარი სერიოზული საფუძველი არ აქვს.

რუსეთში, იტალიაში და დიქტატურის და ფაშიზმის სხვა ქვეყნებში დღეს ყოველგვარი საზოგადოებრივი აზრი ჩაკლული და აღკრძალულია. მას იქ არავითარი ანგარიში არ ეწევა და მითი ხელმძღვანელობას და მისთვის რაიმე ანგარიშის გაწევას ხელისუფლება საჭიროთ არა სთვლის. არ არსებობს თავისუფალი, მიუდგომელი და ობიექტიური პრესა. არსებობს მხოლოთ პრესა ოფიციალური, პრესა მთავრობისა და ხელისუფლებისა. აზრთა თავისუფლება, მათ შორის წინაალმდეგობა და შეჯახება აკრძალულია. ადამიანს თავისი საკუთარი აზრი არ უნდა ქონდეს, მან უნდა იფიქროს თანახმათ მმართველთა ჭკუა-გონებისა და სულისკვეთებისა. ამ ქვეყნებში ყოველგან არსებობს და ნებადართულია მხოლოთ ერთი პარტია, რომელიც ყურმოჭრილი მონაა და უსიტყვოთ ემორჩილება ამა თუ იმ დიქტატორის სურვილებს და დირექტივებსა. სხვადასხვა დაწესებულებებში პარტია ირჩევს და ხმას აძლევს იმ პირთ, რომელთაც მას მაღლიდან უჩვენებენ და უსახელებენ. ცხოვრების ყოველივე დარგში აბსოლუტური დიქტატურაა გამეფებული.

არაფერი ამის მგზავსი არ ითქმის ამერიკის შესახებ. ამერიკაში დემოკრატიული პრინციპები დარჩა უცვლელი და ხელუხლებელი. იქ დღესაც, ისე როგორც წინეთ, არსებობს და ძალაშია სამოქალაქო თავისუფლებები. არსებობს თავისუფალი პრესა, სიტყვის და კრების თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხლებლობა. სხვადასხვა პარტიებთა შორის ბრძოლა და შეჯიბრება, მათ მიერ თავიანთ პროგრამის ქადაგება და ცდა თვითოეულ მათდამი საზოგადოებრივი აზრის მომხრობა იქ ჩვეულებრივი და ბუნებრივი ამბავია. სწორეთ ასეთი ბრძოლის და შეჯიბრების შედეგი იყო, რომ ამერიკის ხალხის დიდმა უმრავლესობამ რუზველტი პრეზიდენტათ აირჩია, რომელიც გაცილებით მეტი უფლებებით არის აღჭურვილი, ვიდრე ევროპის დემოკრატიული ქვეყნების მთავრობათა მეთაურები. და როცა რუზველტმა ეს უფლებები დღევანდელ პირობებში საკმარისათ ვერ ცნო და მისი გაფართოვება სთხოვა კონგრესს, ამ უკანასკნელმა მისი უფლებები მხოლოთ განსაზღვრულ სფეროებში გააფართოვა. წინაალმდეგ დიქტატურის ქვეყნებისა, ამერიკის ყველა მოქალაქენი დღესაც, როგორც პრეზიდენტ რუზველტის არჩევამდე, თავისუფალი არიან აწარმოონ მთავრობის მოქმედების სასტიკი კრიტიკა და მის წინაალმდეგ საზოგადოებრივი აზრი აამხედრონ.

რუზველტის და მისი მთავრობის «დიქტატურაზე» ლაპარაკი დაიწყეს, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც რუზველტმა მრეწველობის აღმდგენი ადმინისტრაცია შექმნა და მრეწველთა და მუშათა შორის ურთიერთობაში ჩაერია. ხშირათ რუზველტის ექსპერიმენტს იწუნებენ და მას სხვადასხვა დიქტატორების საქმიანობას უპირდაპირებენ. როგორია დიქტატორთა ეს საქმიანობა?

ნაციონ. სოციალისტებმა გერმანიაში თავიდანვე სოციალურ საკითხებში რადიკალური პროგრამა წამოაყენეს. ისინი ხედავდენ, რომ გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა მეტათ ცუდი იყო. წარმოების თითქმის ყოველივე დარგში სასტიკი კრიზისი სუფევდა. მუშათა, თუ საშუალო კლასების მდგომარეობა დუხჭირი და აუტანელი იყო. სოციალისტური და, განსაკუთრებით, ანტიკაპიტალისტური მიმართულება ადვილათ იკაფავდა გზას, ლამის იყო ის საყოველთაო მოვლენათ გადაქცეულიყო და ერის უმრავლესობა ამ მიმართულებით გამსჭვალულიყო. ნაც. სოციალისტები ხედავდენ რა ყველაფერ ამას, ცდილობდენ ფართე მასების არსებულ სულისკვეთებისადმი შეგუებას და მის თავიანთ სასარგებლოთ გამოყენებას. მათ სწორეთ გერმანიის ხალხის დიდ მოზრდილ ნაწილის სოციალისტურ და ანტიკაპიტალისტურ განწყობილებას გაუწიეს უდიდესი ანგარიში და თავის ნაციონალურ პარტიას სოციალისტურიც უწოდეს. ისინი ცდილობდენ ხალხისათვის თავი მოეჩვენებიათ დიდ სოციალისტებათ და რევოლიუციონერებათ და ამ გზით თავიანთი მიმდევრები და თანამგრძნობნი გაემრავლებიათ.

ნაც. სოციალისტები ხალხს პირდებოდენ, რომ, როცა ძალაუფლება მათ ხელში იქნებოდა, ისინი აღკრძალავდენ გაურჯელათ და უშრომათ შეძენილ ყოველგვარ მოგებას; ომის დროს გამდიდრებულთ ჩამოართმევდენ მთელ მათ ქონებას; მოახდენდენ ყველა ტრესტების ნაციონალიზაციას და დააწესებდენ დიდ საექსპლოატაციო წარმოების მოგებაში მონაწილეობის მიღებას; გაატარებდენ მოხუცებულობისაგან დაზღვევის კანონმდებლობას; დაუყოვნებლივ მოახდენდენ დიდი მაღაზიების მუნიციპალიზაციას, რომ შემდეგ ეს მაღაზიები იაფ ფასებში წვრილ მოსამსახურეებისთვის მიექირავებინათ; ცხოვრებაში გაატარებდენ რადიკალურ აგრარულ რეფორმას და მით მთელ გლეხობას დააკმაყოფილებდენ; სახელმწიფოს ყოველივე მოქალაქესათვის სამუშაო უნდა ეშოვნა და ყველა მოქალაქეთ ერთნაირი უფლებები და მოვალეობა ქონებოდა. ასეთი იყო ნაც. სოციალისტების სააგიტაციოთ გადმოსროლილი პროგრამის მთავარი მუხლები.

ჩვენ ვიცით, რომ ნაც. სოციალისტებმა შემდეგ ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, მთელ სახელმწიფო აპარატს დაეპატრონნენ და აბსოლუტური დიქტატურა დაამყარეს, მაგრამ ზემოთ აღნუსხული დაპირებანი ვერ განახორციელეს.

იტალიაში ფაშიზმის ხელმძღვანელი და ავტორიტეტული პირები დღეს ხშირათ კაპიტალიზმს სულთათანას უგალობებენ, მას დრომოჭმულათ სთვლიან და იქ ახალი ეპოქის დაწყებაზე ლაპარაკობენ. რა შინაარსის არის ეს ახალი ეპოქა? ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი სოციალიზმი დღეს იტალიაში ხორციელდება. ესე იგი კაპიტალიზმის ალტერნატივათ სოციალიზმი მიაჩნიათ. ერთი მხრით სოციალისტებს აგინებენ, მათ ებრძვიან, მაგრამ მეორე მხრით სოციალიზმს გვერდს მაინც ვერ უხვევენ. მაგრამ თუ კი დავაკვირდებით, ნათელია ერთი: იტალიის დღევანდელ კორპორატიულ სისტემას, სადაც მუშათა და მწარმოებელთა კორპორაციებს მთავრობის წარმომადგენელნი და რწმუნებულნი ხელმძღვანელობენ და მათ საქმიანობას ამა თუ იმ წინასწარ გაზომილ გზით მიმართავენ, არაფერი საერთო სოციალიზმთან არ აქვს. იტალიაში სოციალურ-ეკონომიურ საკითხების მოუწესრიგებლობა და მოუგვარებლობა დღესაც ისეთივეა, როგორც ამას იქ ადგილი ქონდა ამ ათი-თორმეტი უკანასკნელი წლების განმავლობაში.

რაც შეეხება წითელ დიქტატურას, ჩვენ ძლიერ კარგათ ვიცით, თუ როგორ «გამოასწორა» მან საბჭოთა კავშირის ცუდი მდგომარეობა და «დაამყარა» იქ საყოველთაო ბედნიერება. ამის შესახებ ჩვენ გაზეთში ბევრი თქმულა და დაწერილა და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ეხლა საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა შინაარსის არის რუზველტის ექსპერიმენტი და რა არის მასში დიქტატორული?

ამერიკაში დღეს არსებულ ეკონომიური კრიზისისაგან თავის დასახწევათ და არსებული კაპიტალისტური რეჟიმის გადასარჩენათ, რუზველტმა მიმართა სულ სხვა მეთოდებს და ზომებს, ვიდრე ამას ადგილი აქვს ფაშიზმის და დიქტატურის ქვეყნებში.

უმთავრესი მიზანი რუზველტის მიერ მიღებულ ზომებისა არის მცხოვრებთა მყიდველობითი შესაძლებლობის მომატება და გაძლიერება. ეს უკანასკნელი კი უნდა მოხდეს მუშათა ხელფასის გადიდებით, დღიური სამუშაო დროს შემოკლებით და უმუშევართა რიცხვის თვალსაჩინო შემცირებით.

ცნობილია, რომ ნაციონალური მრეწველობის აღსადგენათ ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი, რომლითაც რუზველტს ეძლევა დიდი უფლებები წარმოების სარეკონსტრუქციოთ და ევალება მას წარმოების თვითოეულ დარგში შემოიღოს სპეციალური რეგლამენტი. ამ რეგლამენტის ძალით წარმოების თვითოეულ დარგში მწარმოებელთა შორის უნდა მოხდეს შეთანხმება და მოისპოს მათ შორის არა კეთილსინდისიერი კონკურენცია და ბაზარზე გამეფებული არევ-დარევა. რეგლამენტი უნდა აქცევდეს აგრეთვე დიდ ყურადღებას მუშათა მდგომარეობას და იცავდეს მათ ინტერესებს. რუზველტი მოითხოვს მწარმოებელთაგან უმუშევრებისათვის რეგულიარული სამუშაოს უზრუნველყოფას, სამუშაო დროს შემოკლებას და დღიური ხელფასის მომატებას. და რადგანაც ასეთი რეგლამენტის, თუ «კოდების» შემოღება წარმოების ცალ-ცალკე დარგებში ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რუზველტმა ამის საპასუხოთ შემოიღო ეგრეთ წოდებული «უნივერსალური კოდი», რომელიც ეხლა სავალდებულოა ყველა იმ წარმოებათათვის, რომელთაც დღემდინ თავიანთი ინდივიდუალური «კოდები» არ წარმოუდგენიათ. ამ «უნივერსალური კოდით» იკრძალება მცირე წლოვანთა მუშაობა, შემოღებულია 40 საათის მუშაობა კვირაში, მყარდება ხელფასის მინიმუმი და სხვა.

ბევრ რამეებში «კოდი» კერძო ინიციატივას სრულ თავისუფლებას ანიჭებს და მის მოქმედებას არაფრით არ ზღუდავს. ზოგიერთი წინანდელი დადგენილებები ტრესტების წინაალმდეგ, მაგალითად, ეხლა ნაწილობრივათ კიდევაც გააუქმეს.

მწარმოებელთადმი რუზველტის მიმართვაზე, რომ, რაც შეიძლება მალე, შეერთებოდენ «უნივერსალურ კოდს», ან, როგორც ამას ეხლა უწოდებენ, შრომის ხარტიას, ათასობით განაცხადეს თანხმობა ასეთი წინადადების მიღებაზე.

რუზველტის ექსპერიმენტით დაიწყო აგრეთვე მეტათ თვალსაჩინო ზრდა შრომის ფედერაციისა. სულ რაღაც სამი თვის განმავლობაში სინდიკატების ფედერაციის წევრთა რიცხვი ერთი მილიონით გაიზარდა. ამერიკის პროფესიონალური კავშირების კონგრესს მიმართავდა თვით რუზველტი და ამბობდა, რომ ეკონომიური ცხოვრების შესაფერათ მოსაწყობათ აუცილებელი იყო პროლეტარიატის სრული თავისუფლება და მისი ორგანიზაციულათ ინტეგრალური გაერთიანება. ყველა ის გაფიცვები, რომელსაც ამ წლის განმავლობაში ქონდა ადგილი ამერიკაში, უმთავრესათ მიმართული იყო იმ მწარმოებელთა წინაალმდეგ, რომელთაც თავიანთ წარმოებებში არ შემოიღეს რუზველტის მიერ ნაჩვენები «კოდი»—რეგლამენტი. ამიტომაც იყო, რომ ამ გაფიცვებს უთანაგრძნობდა და ასე ადვილათ ითმენდა ამერიკის ადმინისტრაცია.

მართალია დამქირავებელნი ვალდებული არიან მუშებს მოუმატონ ხელფასი, შეამოკლონ მათი სამუშაო დრო და სხვა. მაგრამ ფაქტია ის, რომ ყველა ეს ზომები ტარდება ცხოვრებაში კანონის მიხედვით, რომელიც ამერიკის კონგრესის მიერ დიდი უმრავლესობით მიღებულია. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ, თუ ვინმეს არ მოსწონს ეს კანონი და ის მის ინტერესებს ეწინააღმდეგება, მას სრული უფლება აქვს აწარმოვოს კამპანია მთავრობის პოლიტიკის შესაცვლელათ. აქედან ნათელია, რომ ამერიკაში დემოკრატიული პრინციპები არა თუ უკუგდებულია, არამედ მას მეტათ დიდი ანგარიში ეწევა და ის ყოველგან დაცულია.

მეორე მხრივ დღეს ხშირათ იმასაც გაიგონებთ, რომ რუზველტის მიერ მიღებული ზომები ძლიერ მოგვაგონებს შრომის საერთაშორისო ბიუროს პროგრამის მუხლებს, როგორიც არის, მაგალითად, მყიდველობითი შესაძლებლობის გადიდება, ხელფასის აწევა, სამუშაო დროს შემცირება, საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობა და სხვა. რუზველტი ნელნელა სოციალიზმს ახორციელებსო. მართალია, რუზველტის მიერ მიღებული ზემოთ აღნუსხული ზომები იგივეა, რაზედაც მუდამ ლაპარაკობს შრომის საერთაშორისო ბიურო, თუ პროფესიონალურ კავშირთა ინტერნაციონალური ფედერაცია. მაგრამ არ

ერთი ფრონტი

მემორანდუმი წარდგენილი სოც. ინტერნაციონალისადმი.

ავსტრიის სოც.-დემოკრატიის დამარცხების შემდეგ სოციალისტურ ინტერნაციონალში ხელახლა დაიბადა აზრი კომინტერნის სექციებთან ევროპაში შეთანხმებისა და მათთან საერთო ფრონტის შექმნისა ფაშიზმის და ომის საშიშროებასან საბრძოლველათ. ამ მიმდინარეობამ ჯერ ჯერობით მიიღო განხორციელება საფრანგეთში, ისპანიაში და იტალიის ემიგრაციაში.

ისპანიის მოძრაობის და მის მეთაურის, ერთი ფრონტის, დამარცხებამ გამოიწვია კომინტერნის ახალი წინადადება სოც. ინტერნაციონალისადმი—საერთო ძალღონით დახმარებისა ისპანიელთათვის. ეს საკითხი გაარჩია ბიურომ ბრიუსელში და დასტოვა ღიათ, ეგზეკუტივში მოსახსენებლათ და ავტორიტეტული მსჯავრის დასადებათ.

ამნაირათ, ეგზეკუტივის ნოემბრის სხდომაზე დასმულია ერთი ფრონტის საკითხი და ჩვენ, საზღვარ გარეთელ ბიუროს საქ. ს.-დემ. მუშათა პარტიისა, თანახმათ პარტიის ც. კ. წინადადებისა და დირექტივებისა, საჭიროთ მიგვაჩნია ევროპის მოძმე პარტიებს გავაცნოთ ჩვენი პარტიის შეხედულობა ამ საგანზე.

სოციალისტ-კომუნისტური კავშირის დასასაბუთებლათ მოყვანილია სხვადასხვა საბუთები.

1. საბუთი არითმეტიკული. ბრძოლაში რაც მეტი რიცხვია ჩაბმული, მით უკეთესია. ეს უდაო ჭეშმარიტებაა, ასს ასოცი სჯობია უეჭველია. მაგრამ ამ შემთხვევაში სავალდებულოა ბლოკი არა მარტო კომუნისტებთან, არამედ ყველა ანტიფაშისტურ და პაციფიურ ელემენტებთან. ამ შემთხვევაში მებრძოლთა ბლოკი უფრო გაიზრდება და გაძლიერდება. და თუ ფრონტისტები ასე არ აფართოვებენ თავის ფარგალს და მხოლოდ მას კომუნისტებით საზღვრავენ, ცხადია არითმეტიკული მოსაზრება დიდ როლს არ თამაშობს და ის არც სახეში მისაღებია.

2. საბუთი კლასიური. ერთი და იგივე კლასის წევრნი, პროლეტარები, ბუნებრივათ მიილტვიან ერთიმეორისაკენ ერთი ფრონტის შესადგენათ, ამბობენ ისინი. არც ეს კლასიური მოსაზრებაა კავშირის მთავარი საბუთი და აი რატომ:

პირველათ, სოციალისტი მუშები სრულიად არ უერთდებიან ფაშისტურ, კათოლიკურ და სხვა არასოციალისტურ მუშათა ორგანიზაციებს, მიუხედავათ მათი საერთო კლასიური წარმოშობისა.

მეორეთ, თუ მუშათა კლასი მოითხოვს ერთ ფრონტს ბოლშევიკებთან, რატომ ის არ დაიწყო და არ განახორციელა ამ კლასმა თავის შიგნით, თავისუფალ და კომუნისტურ სინდიკატებს დღესაც ვერ მოუნახავს საერთო ენა.

მაშასადამე, საერთო ფრონტი არ ეყრდნობა არც არითმეტიკულ, არც კლასიურ მოსაზრებას. ის მოდის პოლიტიკური პარტიებისაგან და ეყრდნობა მხოლოდ პარტიულ მომენტს.

3. ეს გადამჭრელი მომენტია: საერთო მიზანი, საერთო საშუალება. თუ სოციალისტებს და კომუნისტებს შორის ასეთი ახლო ნათესაობაა, მათი კავშირი სავალდებულო და გამართლებულია.

არის კი ეს ნათესაობა მათ შორის?

არის ორნაირი კომუნიზმი: მარქსისტული და ლენინური. ეს უკანასკნელი არის განმეორება მარქსის წინადროის კომუნისტური იდეოლოგიის, რომელიც, მარქსის დახასიათებით, «ითხოვდა პირადი თავისუფლების მოსპობას და ქვეყნის გადაქცევას ერთ დიდ ყაზარმათ, ანუ ერთ დიდ სახელოსნოთ» *).

ბოლშევიკებმა აი ეს კომუნიზმი განახორციელეს რუსეთში. ერის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება გადასცეს სახელმწიფოს და ხალხი ჩააყენეს მის სამსახურში.

ამ სოციალური მიზნიდან გამომდინარეობს მათი პოლიტიკური ტაქტიკა.

ვინაიდან ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესებს ეწინააღმდეგება წვრილ მესაკუთრეთა ექსპროპრიაცია და ყაზარმული სამუშაო პირობების შექმნა, ცხადია ასეთი ცვლილება ვერ მოხდებოდა მისი დასტურით, დემოკრატიული გზით. ამიტომ კომუნისტებმა გააუქმეს ხალხის სუვერენიტეტი, რომელიც დააწესა თებერვლის რევოლიუციამ და მის ალაგას შემოიღეს თავისი პარტიის სუვერენიტეტი. «დიდი ყაზარმა» დაარსდა **).

როგორც ხედავთ, ბოლშევიკების სოციალური მიზანი და მისგან გამომდინარე საშუალებანი ერთნაირათ ანტი-ხალხური, ანტი-დემოკრატიულია.

სოციალიზმის მიზანია კაპიტალისტური საკუთრების გადაცემა საზოგადოებისათვის, «მუშათა თავისუფალი ასოციაციისათვის» (ენგელსი, მარქსი). ხოლო წვრილი საკუთრება, გლეხის, ხელოსნის და სხვების რჩება პატრონთა ხელში და პოულობს დახმარებას და წინამძღოლობას სოციალისტური მეურნეობის სექტორში (ენგელსი).

ამ სოციალური მიზნისაგან გამომდინარეობს მისი შესაფერი საშუალება. ვინაიდან სახალხო ეკონომიკის ამ წესზე აწყობა ეთანხმება ერის დიდი უმრავლესობის ინტერესებს, როგორც პროლეტარიატის, ისე წვრილ მესაკუთრეების, ცხადია ამ ნიადაგზე მათი კოალიცია, მათი ერთი ფრონტი შესაძლებელია და მათი დასტური ბუნებრივია. თავისუფლება, დემოკრატია ამ მიმდინარეობის გზა და ხიდია.

ამნაირად, კომინტერნის და სოცინტერნის სოციალური მიზანი და მისი მისაღწევი საშუალებანი ერთიმეორეს ეწინააღმდეგება, ეპირდაპირება და მათი ერთ უღელში შებმა არაბუნებრივია, რაიცა უნდა გათავდეს ერთ-ერთის დანგრევით.

ამ შეუსაბამობის საოცარ მაგალითს იძლევა საფრანგეთის ერთი ფრონტი. აქ კომუნისტური იდეოლოგია ითრევს სოციალისტებს, რაიცა საჯაროთ გამოაშკარავდა 24 აგვისტოს მოწვეულ სოციალისტ-კომუნისტურ საერთო მიტინგზე, ბულიეს ხალაში, სადაც აღიარებულ იქნა ბოლშევიკური კომუნიზმი სოციალიზმათ, რაიცა გამოიხატა მიღებულ რეზოლიუციაში:

«საბჭოთა კავშირი, სადაც გამარჯვებულმა რევოლიუციამ შესაძლებელი გახადა სოციალიზმის აგება, წარმოადგენს სამშობლოს მთელი ქვეყნის მშრომელებისა» და სხ.

ასე, პრიმიტიული კომუნისტური ყაზარმა გამოცხადდა სოციალისტების იდეალათ და დასაცავათ. აქედან ერთი დასკვნაა—ყველა ნამდვილი სოციალისტი უნდა გახდეს კომუნისტი.

თავისთავათ ცხადია, რომ ასეთი იდეოლოგიური გადახრა იწვევს ტაქტიკურ გადახრასაც. რუსული ყაზარმის ევროპაში დაარსება ვერასოდეს ვერ მოხდება ხალხის თანხმობით, დემოკრატიული გზით. ამიტომ სოციალისტებს შორის ვითარდება გაგება რევოლიუციური პროცესის, როგორც მექანიკური პროცესის, სადაც გადამჭრელ როლს თამაშობს არა სოციალური იდეალი და ტაქტიკა, არამედ შეთქმულება, შეიარაღება, კარგათ მოწყობილი დაკვრა, აჯანყების გამოწვევა და ძალა-უფლების ამ გზით უცაბედათ ხელში ჩაგდება. იარაღი ქმნის რევოლიუციას და არა რევოლიუცია იარაღს, როგორც ეს წინეთ გვეგონა. რევოლიუციის მექანიზაცია მთავარი მიზეზია ისპანიის უკანასკნელი მოძრაობის დამარცხების.

პარლამენტარული სარგებლობის მხრით, ერთი ფრონტი ამრავლებს უფრო კომუნისტების საარჩევნო არმიას, ვინემ სოციალისტებისას, როგორც ეს დაამტკიცა უკანასკნელმა კანტონალურ არჩევნებმა საფრანგეთში, სადაც პირველებმა მოიგეს გაცილებით მეტი მანდატი, ვინემ მეორეებმა.

კომუნისტების და სოციალისტების კოალიცია იყო ერთათ ერთი და ისიც გათავდა სამარცხვინოთ. ოქტომბრის რევოლიუციის პროცესში დაკავშირდენ მემარცხნე ესერები და ბოლშევიკები. მაგრამ ვინაიდან მათი სოციალური იდეალი იყო სხვადასხვანაირი და ამიტომ ტაქტიკაზე ვეღარ შეთანხმდენ, მოკავშირე სოციალისტები იქნა განადგურებული, დატყვევებულნი და გადასახლებულნი. ასეთი ბედი მოელის ყველა მათ მოკავშირეთ გამარჯვებულ რევოლიუციაში. ისინი დღეს იცავენ «დემოკრატიას» აქ, ევროპაში (და არა რუსეთში), როგორც ისინი იცავდენ მას დროებითი მთავრობის დროს, ამ საქმეში იკავშირებენ ევროპის სოციალისტებს, რომ გამარჯვებისთანავე ისინიც ესერების გზაზე გაუყენონ. ბოლშევიზმი ბუნებრივათ არ ითმენს არავითარ კოალიციას.

ამნაირათ, მესამე და მთავარი საბუთი იდეიურ-ტაქტიკური ხასიათისა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ერთი ფრონტი საბედისწეროა აგრეთვე პრაქტიკული პოლიტიკის ასპარეზზე. რატომ კომუნისტები წელს ასე უცებ გახდენ ფრონტისტები, როცა შარშან მათ კატეგორიულათ უარყვეს ინტერნაციონალის შესაფერი მოწოდება და საფრანგეთის სოც. პარტიის წინადადება? «პოპულერი» აცხადებდა მათ «გაუგონარ თაღლითებათ» (იხ. ნომერი 20.2.33). ხოლო დღეს კი ეს თაღლითები ლოიალურ მოკავშირეებათაა დასახული. რატომ? განა შეიცვალა მათი დოქტრინა, მათი პრინციპები, მათი ბუნება? სრულიადაც არა, რჩებიან რაც იყვენ, არაფერი არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ საერთაშორისო მდგომარეობა, საბჭოთა მთავრობას მოეჩვენა საგარეო საფრთხე და ეძებს მფარველებს ერთა ლიგაში, მთავრობებთან ალიანსებში, ხოლო კომინტერნის გზით სოციალისტურ პარტიებში. როგორც კი ეს საფრთხე გაივლის და მოსკოვი თავს იგრძნობს საფრთხის გარეშე, არავითარი ერთი ფრონტი აღარ დასჭირდება და მას თვითონ მოუღებს ბოლოს მისთვის ხელსაყრელ პირობებში.

სოც. პარტია პასუხისმგებლობას იღებს მხო-

---

*) Le Manifeste Communiste; Annex, გვ. 144 edition Coste Paris 1934.

**) ეს სამეურნეო ყაზარმის დაარსება მოხდა არა შეუგნებლათ, ობიექტიურათ, არამედ შეგნებულათ, სუბიექტიურათ, რის საფუძველი ჩაიყარა 1930 წ. მარტის დეკრეტით. ამ უქაზით, თვითეული რაიონის გლეხობა იყოფა კოლონათ, თვითეული კოლონა ბრიგადებათ; თვითეულ ბრიგადას მეთაურობს ბრიგადირი, რომელიც ასრულებს ბრძანებას კოლონნას ბრიგადირისას. ბრიგადის მთელ მიწას, საყოლს და სხვა ქონებას, განაგებს ბრიგადირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კოლონის შეფს და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის მართალი, რომ ეს სოციალიზმია. ამ ზომათა ცხოვრებაში გატარება და განხორციელება სავსებით თავსდება არსებულ ბურჟუაზიულ წყობილების ფარგლებში და სრულიადაც არ მოითხოვს რაიმე ღრმა რევოლიუციურ პერტურბაციებს. რუზველტის სამოქმედო პროგრამა საწარმოვო საშუალებების განსაზოგადოებრივობაზე ხომ არსად არაფერს ლაპარაკობს.

მთავარი საკითხი ეხლა არის, თუ დღევანდელ ეკონომიურ ნაციონალიზმის ხანაში, როცა თვითეული სახელმწიფო ყოველივე მხრივ შინ იკეტება და ინტერნაციონალური კავშირი სხვადასხვა ქვეყნებთა შორის ძალზე შესუსტებულია, შესაძლებელი იქნება რუზველტის ექსპერიმენტს ისეთივე შედეგები მოყვეს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო უფრო კარგ და ნორმალურ პირობებში. ასე თუ ისე ფაქტია ერთი: რუზველტმა მთელ ამ ხნის განმავლობაში გამოიჩინა არსებულ რთულ და კრიტიკულ მდგომარეობის გაცილებით მეტი გაგება და სცადა დღევანდელ კრიზისიდან უფრო გაბედულათ და მოხერხებულათ გამოსვლა, ვიდრე ეს მოიმოქმედეს ფაშისტურ და რეაქციონურ მთავრობებმა.

დაბოლოს ყველაზე უფრო აღსანიშნავი ის, რომ რუზველტის პოლიტიკამ, რომელიც არსებითად დემოკრატიულია, ჩვენ ნათლად დაგვანახვა, რომ დემოკრატიას აქვს საშუალება მიიღოს გადამჭრელი ზომები, როცა ეს საჭირო და აუცილებელია.

პ. ბ.

P. S. ეს წერილი აწყობილი იყო, როცა ამერიკიდან მოვიდა ცნობა, რომ სენატის და პალატის არჩევნებში დემოკრატებს დიდი გამარჯვება ერგოთ. ამ თავისუფალ არჩევნებით ამერიკის ხალხმა სავსებით დაადასტურა რუზველტის პოლიტიკა და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა ის, რომ დღევანდელ ეკონომიურ კრიზისის წინააღმდეგ გაწეულ უნდა იქნას ენერგიული ბრძოლა, გაუმჯობესდეს ხალხის ცხოვრების პირობები და შენარჩუნებულ-დაცულ იქნას არსებული პოლიტიკური თავისუფლებები.

პ. ბ.

ა. ტოპჩიბაშევის გარდაცვალება

პარიზში უეცრად გარდაიცვალა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ა. ტოპჩიბაშევი. დასაფლავებას დაესწრო ყველა მეზობელ რესპუბლიკათა ოფიციალური წარმომადგენელნი და მრავალი საზოგადოება. სიტყვები წარმოსთქვეს ბ. ბ. რასულზადემ, აკ. ჩხენკელმა, ა. ხატისოვმა, მთის და უკრაინის წარმომადგენლებმა.

გრიგოლ მიხეილის ძე ფხალაძე

მეტად სამწუხარო ცნობა მივიღეთ საქართველოდან: მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი პარტიის ძველი წევრი გრიგოლ ფხალაძე. ამხ. გრიგოლი ჯერ კიდევ 1900 წელს გაეცნო მარქ. ლიტერატურას, დაუახლოვდა მაშინდელ აქტიურ მომუშავე ამხანაგებს და 1903 წ. საჯაროთ გამოვიდა და გახდა მაშინდელი კომიტეტის წევრი. მას მრავალი საპასუხისმგებლო საქმე ქონია დავალებული და ყველა პირნათლათ შეუსრულებია. სხვათა შორის ის ეხმარებოდა ზ. გურულს ქუთაისის ციხეში ხვრელის გამოყვანაში. ის არაერთხელ ყოფილა ამრჩევლათ სახ. დუმის დეპუტატის გლეხების მხრით. ომის დაწყებისას ის იყო ხშირათ ჭიათურის კომიტეტის თავმჯდომარეთ, წევრათ კი მუდამ. რევოლიუციის დროს ის არჩეულ იქნა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრათ, საადგილმამულო კომიტეტის თავმჯდომარეთ, სასურსათო კომიტ. თავმჯ. ამხანაგათ, ქალაქის ხმოსნათ, კოოპერატივის კავშირის გამგეობაში, სამაზრო სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრათ და სხ.



რა თქმა უნდა, ასეთ კაცს ვერ დაინდობდა კომუნ. ხელისუფლება და ის კიდევაც დააპატიმრეს პირველ რიგში. გადაგზავნეს ქუთაისის ჩეკაში, რამდენიმე თვის შემდეგ გაანთავისუფლეს სხვებთან ერთად. ცოტა ხნის შემდეგ ისევ იჭერენ და 6 თვის შემდეგ ანთავისუფლებენ. აქედან ის მიდის ცეკას განკარგულებაში თფილისში და 22 წელს ახალ დავალებებით ბრუნდება შორაპნის მაზრაში. აქ მან დიდი აქტიური მონაწილეობა მიიღო არალეგალური სამაზროყრილობის მოწვევაში. 1924 წ. თფილისიდან წამოვიდა ჭიათურაში სპეციალური დავალებით. მარა აქ გამოსვლა უკვე მოხდა ნაადრევათ და ველარ მოუსწრო მან სოფელს შეაფარა თავი და ასე გადარჩა დახვრეტას. 1926 წ. ჩვენ ერთად გვიხდებოდა მუშაობა, შემდეგ მე აქეთ წამოვედი, ის თფილისში დარჩა. 1927 წ. ის დაიჭირეს და გადაასახლეს რუსეთში, სადაც დაყო შვიდი წელი. როცა შეატყვეს რომ ის ისე დაავათმყოფდა რომ ველარ იმუშავებდა გაანთავისუფლეს 1934 წ. აპრილში და ივლისში უკვე გარდაიცვალა ჭიათურაში.

ვისაც ჭიათურა-საჩხერე-შორაპანის მაზრაში უმუშავნია და ან საქმე ქონია შორაპნის მაზრის ორგანიზაციასთან მას კარგათ ახსოვს გრიგოლის ნათელი თვალები, მომღიმარე ტუჩები და ლამაზი პირისახე. იშვიათი ამხანაგი, გამტანი, მოამაგე და მოსიყვარულე—ის ერთი იმათგანი იყო, რომლის ხსოვნა ასე ურყევია მის ამხანაგ-მეგობრებში.

ძვირფასო ამხანაგო! შენ პირნათლათ შეასრულე შენი ვალი ჩვენი ქვეყნის წინაშე. დადგება დრო და განთავისუფლებული სამშობლო ღირსეულათ დააფასებს შენს ამაგს მის წინაშე...

ვალიკო ჩუბინიძე.

ლოდ იმ მთავრობის საგარეო პოლიტიკისათვის, რომელსაც ის ან მეთაურობს, ან მასში მონაწილეობას იღებს. საბჭოთა მთავრობა კი იმყოფება ყოველივე თავისუფალი საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე. სოციალისტები და დემოკრატები ციხეებშია გამომწყვდეული და დევნილი. მისი მუშაობა და პლანები საიდუმლოებით მოცული.

რასაკვირველია, საბჭოთა მთავრობას უფლება აქვს, როგორც ყოველივე მთავრობას, ეძიოს მოკავშირენი და დაეყრდნოს გაბატონებულ კლასებს. მაგრამ ინტერნაციონალის უფლება და მოვალეობაა ეძიოს კავშირი და დაეყრდნოს დამორჩილებულ კლასებს, დევნილთ და წამებულთ. მისი გადასვლა მთავრობის ხაზზე მას უსპობს საფუძველს არსებობისას, ხდის ოფიციალური სახელმწიფო ორგანოების დამატებათ და კარგავს მასაში პრესტიჟს და გავლენას.

ერთი ფრონტის საშუალებით მოსკოვი ითრევს ევროპის სოც. პარტიებს თავის საგარეო კომბინაციებში და მოსალოდნელ კონფლიქტებში ის მათ ქმნის მონაწილეთ და მხარეთ. ამით წინდაწინვე იჭრება დიდი საკითხი—ინტერნაციონალის როლი ომის დროს. და იჭრება დადებითათ, რუსეთის და მის მოკავშირეთა მხარეზე გადასვლით, რაიცა შეიძლება დაბოლოვდეს ინტერნაციონალის ხელმეორეთ გარღვევით.

ერთი ფრონტის საკითხს გარდა პოლიტიკური და პარტიული მხარისა აქვს აგრეთვე მორალური მხარეც. პირველი ინტერნაციონალი ითხოვდა «კანონები მორალისა და სამართლიანობისა» უნდა მართავდეს დამოკიდებულებას როგორც ადამიანებისას, ისე ერებისას. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება პირველ ყოვლისა უნდა იქნას განხორციელებული თვით ინტერნაციონალში, რომ მას შეეძლოს მისი განხორციელება მოსთხოვოს სხვებს. ამ ძირითად მოთხოვნილებას სავსებით ეწინააღმდეგება ერთი ფრონტის შეკვრა იმ ხალხთან, რომელთაც ინტერნაციონალის სექციები საბჭოთა კავშირში გამოცხადებული ყავთ კანონს გარეშე, მის წევრებს ათასობით ალპობენ ციხეებში, სალოვკაში, ციმბირის და სხვა შორეულ კუთხეების უდაბურ ადგილებში, რომელთაც დახვრიტეს საუკეთესო ჩვენი ამხანაგები განუსჯელათ. ინტერნაციონალის ერთი სექციის დაძმობილება მეორე სექციის ჯალათებთან,—ეს გაუგონარი ამბავი საერთაშორისო სოციალისტურ ურთიერთობაში, უკარგავს ყოველივე პრესტიჟს და გავლენას სოცინტერნაციონალს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებში. ამის მჭერმეტყველური საბუთია ის გარემოება, რომ ერთი ფრონტის დადასტურება, მიუხედავათ საბჭოთა სატელეგრაფო და საფოსტო საამისო შეღავათებისა, არ მოხდა არც ერთი სოც. ორგანიზაციის, არც ერთ გადასახლებულთა ჯგუფისაგან, რაიცა ათასობით ითვლება, გარდა სამი მენშევიკებისა ყაზანიდან.

ერთი ფრონტი არსებულ პირობებში ნიშნავს ჩვენი პარტიის, ისე როგორც ყველა სხვა სოციალისტური პარტიების საბჭოთა კავშირისა, დევნის და გაწყვეტის დადასტურებას.

ამ გვარათ, სოც. ინტერნაციონალის კოალიცია კომინტერნთან ვერ გამართლდება ვერავითარი მოსაზრებით, ვერც პარტიულის, ვერც პოლიტიკურის, ვერც მორალურის. საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია ამიტომ მას გადაჭრით უარსყოფს.

კოალიცია ჩვენ მიგვაჩნია დასაშვებათ მხოლოდ ისეთ პარტიებთან, რომელთა შორის საერთოა ან სოციალური, ან პოლიტიკური, ან ტაქტიკური მომენტი. თუ გაჩნდება კომუნისტებს და სოციალისტებს შორის ამ სფეროებში საერთო ნიადაგი, ნიადაგი გულწრფელი, ნამდვილი და მოკლებული მანიოვრებს, ამ შემთხვევაში ჩვენ დასაშვებათ მიგვაჩნია კოალიცია მასანაც. ამის მთავარი პირობაა მათი გადასვლა სოციალიზმის საფუძველზე და აქედან გამომდინარე დემოკრატიულ პრინციპზე. აქ, ევროპაში, დემოკრატიის დაცვა, ხოლო იქ, საბჭოთა კავშირში მისი უარის ყოფა და სასტიკი დევნა—«გაუგონარი თაღლითობაა».

მაშასადამე, კოალიციის სათავე საბჭოთა კავშირი. ბოლშევიკებმა პირველათ იქიდან მისცენ ევროპას გარანტია ამხანაგობის და გულწრფელობისა. პირველათ იქ შედგეს ერთი ფრონტი და ამის დაგვარათ შეიცვალოს საბჭოთა პოლიტიკა—დაბმული ხალხების და პარტიების აშვება, კომუნისტური პარტიის პოლიტიკური მონოპოლიის მოშლა. შრომის და ნაშრომის თავისუფლების აღიარება, მთელი ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების შეცვლა სოციალისტურის გზით და მხოლოდ ამის შემდეგ სოცინტერნაციონალს უფლება და მოვალეობა ექნება კომინტერნთან შევიდეს კავშირში და ბოლოს ორივე გაერთიანდენ.

საქართველოს სოც.-დემოკრატია გაახლებს რა ამ მოხსენებას, გამოსთქვამს იმედს, რომ ინტერნაციონალი დარჩება თავის ძველ სიმაღლეზე, დაიცავს «კანონს მორალის და სამართლიანობისა» ჩვენთვისაც და არ გასცემს საბჭოების მიერ დევნილ თავის სექციებს და წევრებს.

31 ოქტომბერი 1934.

მცირე შენიშვნა

«საქ. გუშაგი»-ს მე-9 ნომერში დაბეჭდილია ბ.ბ. აბდუშელის და ვ. ნოზაძის წერილი, რომლითაც მათ შესწორება შეაქვთ პარიზის ს.-დ. ორგანიზაციის იმ წერილში, რომელიც დაიბეჭდა «ბრ. ხმა»-ს მე-44 ნომერში სათაურით—«ჩვენი პასუხი».

წერილის შესავალში ისინი ავტორიტეტულათ აცხადებენ რომ ზემო აღნიშნულ ს.-დ. ორგ. წერილში «ჭეშმარიტების მრავალი დამახინჯებაა»-ო. მარა თავს კი არ იწუხებენ ეს «მრავალი დამახინჯება» მკითხველს გააცნონ.

«მრავალი დამახინჯების» ნაცვლათ ასახელებენ სამს:

1. «არ არის მართალი ვითომ კომისიის წევრიდან მხოლოდ ხუთი-ღა დარჩენილიყოს»-ო. მარა იქვე, რამდენიმე სტრიქონით ქვევით, თვითონვე სწერენ: «ამ სხდომას დაესწრო შვიდი წევრი, ამ სხდომამ მოხსენება ერთხმად მიიღო, ხოლო დასკვნები კი ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ»-ო.

«ჩვენი პასუხი» სწორედ ამ დასკვნებზე სწერდა და სწერდა ასე: «ხუთმა წევრმა გამოიტანა დასკვნები (ხაზი ჩვენია) კომისიის სახელით, ამის უფლება მათ არ ქონდათ» და სხ. კომისიაში შედიოდა ათი კაცი. დასკვნები მიიღო ხუთმა წევრმა—ესაა მთავარი და ამას ადასტურებენ თვით ისინი—მაშ რაშია «დამახინჯება»?

2. «წინააღმდეგ «ჩვენი პასუხის» ავტორთა მტკიცებისა ასოციაციამ კომისიის წევრები აირჩია არა პარტიათა წარმომადგენლებისაგან, არამედ პიროვნული შერჩევის პრინციპის მიხედვით»-ო. მარა, პიროვნული შერჩევის პრინციპი ხომ არ უარყოფს პარტიულ კუთვნილებას. ის ფაქტი, რომ, ვთქვათ, ნ. ცინცაძე არჩეულიყო «პიროვნული შერჩევის პრინციპის მიხედვით»—განა უარყოფს რომ ის ს.-დ. პარტიის წევრია?! და «ჩვენი პასუხი»-ც სწორედ ამ აზრით სწერდა რომ «კომისიაში წარმოდგენილნი იყვნენ ყველა ემიგრანტული ფენები»-ო. არ იყო ეს ასე? მაშ რაშია «დამახინჯება»?

3. «კომისიამ მოხსენების ტექსტი—სწერენ ისინი—პოლიტიკურ ჯგუფებს დაუგზავნა მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ჯგუფთა წარმომადგენლებმა ამის სურვილი მტკიცეთ გამოსთქვეს»-ო.

რას ნიშნავს ეს «მტკიცეთ გამოსთქვეს»? რა უფლებით კომისიამ კოლონიის კრების ნებადაურთველათ, ე. ი. დაუკითხავათ იმათი, ვინც ისინი აირჩია, ვინც მათ ეს საქმე მიანდო—მოხსენების ტექსტი ჯგუფების წარმომადგენლებს დაუგზავნა, თუ გინდ თანახმად მათი «მტკიცე მოთხოვნისა». და ისიც მანამდე, სანამ მას კრება თვით გაეცნობოდა და მის შესახებ ამა თუ იმ დადგენილებას მიიღებდა?! ეს ხომ კოლონიის კომისიაა და არა პოლიტ. ჯგუფების.

საზ. კრებამ აირჩია კომისია, მიანდო საქმის გამორკვევა, ჯერ კიდევ მან ამის შესახებ არაფერი იცის, არც კი მოუსმენია, მოხსენება კი წერილობით დარიგებულია ისეთ ადგილებშიაც, რომლებიც არც კი იღებენ რაიმე მონაწილეობას ყოველივე ამაში, იბეჭდება გაზეთებში, ახლა კიდევ «საქ. გუშაგ»-მა ცალკე წიგნაკათაც გამოსცა და ყიდის! სხვისი დოკუმენტის ნებადაურთველად გამოცემა, და მისი გასაყიდათ გამოტანა—ეს კიდევ ერთი ზედმეტი შტრიხია «საქ. გუშაგში» გამეფებული მორალის.

ვისთვის არის აწი საჭირო რომ ეს საკითხი კალონიის კრების დღისწესრიგში დგას?! სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ეს იძლევა უფლებას ითქვას, რომ —მთელი ეს საქმე ვიღაცას რაღაცაებისათვის ძალიან ესაჭიროება და ხდება ისე, როგორც ეს ამ საჭიროებას მოუხდება...

გრ. ურ.

პასუხი ბ-ნ გენ. ჩხეიძეს

ბ-ნმა გენ. ჩხეიძემ «მხედრის» მე-16 ნომერში მთელი წერილი მიძღვნა. სჩანს რომ ჩემმა წერილმა ძლიერ გააბრაზა ბ. გენერალი და თვით რედაქცია (ვინ არიან ეს რედაქცია მე არ ვიცი), რომლებმაც შეთანხმებულად შემომიტიეს—ბევრი ეპიტეტებით დამაჯილდოვეს და მათი სუსტი პოზიციის გასამაგრებლად დაბალი ხარისხის დემაგოგიაც კი გაწიეს ჩემ წინააღმდეგ.

მე დაუმტკიცე ჩემ მოწინააღმდეგეებს, რომ ფრონტის გარღვევა წითლების მიერ, როგორც ორხევში, ისე სოღალუღში იყო დროებით და იმავე დღესვე ესე იგი, 24 თებ. საღამოს ორივე მიმართულებით გარღვევები ლიკვიდაცია ნაქნარი იყო მეთქი. ამაზე მათ ვერაფერი მიპასუხეს (და არც შეუძლიათ) და ეხლა დააწვენ ცხენოსან ჯარის შემოვლას.

ფაქტი შემოვლისა მტრის ცხენოსან «დივიზიების» არ ყოფილა. მხოლოთ მტერს განზრახვა ჰქონდა შემოვლისა. შემოვლაში და განზრახვა შემოვლის შორის დიდი განსხვავებაა. ნიშანი განძრახვა შემოვლისა იყო მცირე რიცხოვანი იერიშები ავჭალასთან და მანგლისთან. ამ მტრის ცხენოსან თარეშების ზურგში მოქცევამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენ სარდლობაზე...

რა მოვიგეთ ჩვენ თბილისის დატოვებით? გენ. ჩხეიძე და სხვები ამტკიცებენ—გადავრჩით «ტყვეობასო»!! შეუნახეთ თბილისის დატოვების შემდეგ არმიას ბრძოლის უნარი? არა. საინტერესოა როგორ ახასიათებს გენერ. ოდიშელიძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებს თბილისის ბრძოლებში და თბილისის დატოვების შემდეგ თავის მოხსენებაში, რომელიც მან წაიკითხა ქ. სტამბოლში 22 მარტს 1922 წ.: «სამი მეოთხედი თბილისის დამცველებში იყვნენ ძველი სადახლოს მეომრები, რომლებიც 8 დღეს მამაცურად და მხნეთ იცავდენ დედა ქალაქს, ნიშნები ჩვენი ჯარის დემორალიზაციის, გარყვნის, როგორც თბილისის, ისე სხვა ფრონტების არ ყოფილა. პირიქით, იყო დიდი სულიერი აღფრთოვანება, რომელიც გადაეცა მოქალაქეებს. შინიხის და სანაინის დამარცხების კვალი გაქრა»...

«მთავარი მიზეზი ჩვენი ჯარის დემორალიზაციის და ყველა ფრონტების გახრწნის იყო დახევა თბილისიდან უეცარი და გაუგებარი, როგორც ჯარისთვის ისე ხალხისთვის. დაწყებული ავჭალიდან ჩვენი ჯარის გახრწნას ხელს უწყობდა პისსიური უკან დახევითი ტაქტიკა ახალ მთავარსარდლისა».

აი დაახლოვებით ეს აზრი გამოვთქვი მე წინა წერილში და ამან გამოიწვია შეურიგებელი გამოლაშქრება ბ. გენ. ჩხეიძესი და მისი მოკავშირე «მხედრის» რედაქციის.

ზემო მოხსენებულმა პირებმა თავის პოზიციების გასამაგრებლად მოიყვანეს რამოდენიმე ეპიზოდები ომებიდან მცირე აზიაში და პალესტინაში და ცხენოსანი ჯარების როლი ომიანობის დროს იმ ქვეყნებში. ესე იგი მათ უნდათ საზოგადოებას დაუმტკიცონ რომ ომებს იგებენ ცხენოსანი ჯარები!

მე მადლობელი ვარ ბ. გენერლის რომ გამაგზავნა პალესტინაში ცხენოსან ჯარის მოქმედებების შესასწავლად. მაგრამ ეს ძლიერ შორს არის.

ამიტომ მე ბ. გენერალს და მის მოკავშირეებს გავახსენებ, რომ არც პალესტინის ამბავი და არც სხვისი მათ ისე კარგად არ იციან როგორც პოლონეთის, სადაც არიან ეხლა. უკეთესია აუწერონ საზოგადოებას ბრძოლები ვარშავასთან და როლი ცხენოსან ჯარის (წითლების) ამ ქალაქთან და მათი დამარცხება. ეს იქნებოდა უკეთესი ვინემ პალესტინის ამბავი და «იერიხონის ბუკები».

რაც შეეხება ჩემ ფრაზას «მაშინ წითელ არმიაში დივიზიებს მართლა ეძახოდენ, მაგრამ სინამდვილეში ერთი მეათედი ჯ. კ. შიგ არ ყოფილა»—ეს არის ნახმარი როგორც ზოგადი ხასიათის და ეხება როგორც ცხენოსან ჯარს, ისე ქვეითს.

აქედან ობექტიური მკითხველი გამოიყვანს დასკვნას რომ მაშინ წითელ არმიაში სრული დივიზიები არ ყოფილა. მაგრამ ზემოხსენებულმა კომპანიამ სხვანაირათ გაიგო ეს თურმე. დაიწყეს არითმეტიკული გამრავლებები და მიიღეს ასტრონომიული ციფრები (კარგია წრთვნა არითმეტიკაში). ეს წრთვნა არითმეტიკაში იხმარეს მხოლოთ და მხოლოთ სადემაგოგიოთ ჩემ წინააღმდეგ. ეს მათ არ ახასიათებს დადებითად.

«მხედრის» რედაქცია გვაუწყებს: «თბილისის დატოვების მიზეზები მეტის მეტი სერიოზული არიან, ვარწმუნებ ავტორს, რომ ეს მიზეზები ტაქტიკურ-ოპერატიულ ჩარჩოებში ვერ მოთავსდებიან». ვინ არ დაეთანხმება რედაქციას რომ თბილისის დატოვება მეტად სერიოზულია... მაგრამ ბრჭყალებ გასახსნელია «ტაქტიკურ-ოპერატიულ ჩარჩოებში ვერ მოთავსდებიან». ალბათ, რედაქცია შეეცდება და შეეცადა კიდევაც დაარწმუნოს საზოგადოებრივი აზრი სამხედრო სოფისტიკით, რომ თბილისის დატოვება აუცილებელი იყო «ტაქტიკურ მოსაზრებით» და თუ ეს ვერ შესძლო ალბათ «გამოაგორებს» თავის რეზერვს: «ცუდი პოლიტიკა», «მარქსი», «ენგელსი», «ინტერნაციონალი» და სხვა.

გენერლებმა ბრძოლის ველზე ჯარის მართვა არ იცოდენ და ამას მარქს და ენგელს აბრალებდენ... მაგ აბსურდსაც მალე გავიგონებთ.

სად ამოიკითხა ჩემ ნაწერებში პატივცემულმა გენერალმა, რომ ვითომ მე აღმეწეროს ბრძოლები 11-16 თებერვლამდე, როგორც რაღაც «გმირული»?!

მე ურჩევ მას კიდევ გადაათვალიეროს ჩემი წერილი. იქ ის ამას ვერ ნახავს, ამიტომ გენერლის ირონია ამის შესახებ ძლიერ უადგილოა.

რაც შეეხება თვით ოპერაციებს 11 თებერვლიდან აი როგორ ახასიათებს მას პირველი მთავარ სარდალი, განსვენებული გენერალი ოდიშელიძე: «11 თებერვლის შემდეგ ჩვენი ჯარი იბრძოდა სადახლოსთან დაახლოვებით სამი დღე. ამ ბრძოლებში ჩვენმა ჯარმა მიაღწია ზოგიერთ შემთხვევაში გამარჯვებას. სადახლოს სამხრეთით იყო შეტევა და აღებულ იქმნა დიდმნიშვნელოვანი სიმაღლე, რომელიც ბატონობდა სადახლოს მიდამოებზე. მარცხენა ფრთაზე ერთმა გვარდიის ათასეულმა ძლიერი ბრძოლის შემდეგ მამაცური იერიშით აიღო კიზილ-კაიას სიმაღლე, რომელიც ბატონობდა სოფ. კეპირლიზე... ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ დემორალიზაცია ჩვენ ჯარში არ ყოფილა. რაც შეეხება ორი ქვ. ათასეულების დაღუპვას (მე-5 და მე-8)—ოფიცრობა ამ ათასეულების დაუმეგობრდა სომხებს, ქეიფობდენ მათთან და მათ ბავშებს უნათლავდენ, იმავე დროს კი ახალი ნათლიები მათ უმზადებდენ დაღუპვას...

«11 თებერვლის შემდეგ გედევანიშვილის ჯარი ასრულებდა ავანგარდის როლს, რომელსაც თავისი აქტიური მოქმედებით საშვალება უნდა მიეცა ჩვენი ჯარების დაჯგუფებას თბილისთან... რომ დროზე მოსულიყვენ მე-4 9-10 ქვ. ათასეულები სადახლოსთან შინიხის და სანაინის დოყლაპიობას თავის დროზე ლიკვიდაცია ნაქნარი ექნებოდა—შესაძლებელია შემჩნეულიც კი არ ყოფილიყო»... (გენ. ოდიშელიძე «მოხსენება» გვ. 39).

ჩემ წერილში ვამბობდი ტანკების მოქმედებაზე და ამას ბ. გენერალმა მთელი აბზაცი უძღვნა. ის უარყოფს ორხევის მიმართულებით ტანკების მოქმედებას და ამას ასაბუთებს მთავარ სარდლის სიტყვებით, რომ მას არ ქონია ცნობები ამ მხარეში ტანკების გამოჩენის. და ის ალბათ «ცხენოსანი დივიზიის ჯავშნიანი ავტომობილები იყოო». სავალალოა და ბევრის მთქმელი, რომ სარდლობას ასეთი სერიოზული ცნობა არა ჰქონია. გენ. ჩხეიძე ცდილობს სოფიზმებით ამ ფაქტის უარყოფას. რომ ერთხელ და სამუდამოთ ამ ზღაპარს ბოლო მოეღოს ბ. გენერალს და მათ მოკავშირეებს ურჩევ, ვინაიდან ჩვენ, ამ ბრძოლის მონაწილეებს არ გვიჯერებენ, მონახონ და წაიკითხონ მტრის გაზეთი «კრასნი ვოინი» 24 მარტის 1921 წ. № 62, ასეთი სათაურით: «ოპერაციები ტანკების და ჯავშნიან მატარებლების თბილისთან». (ცნობათ: ფოილოს ხიდი 24 თებ. შეკეთებული იყო მტრის მიერ). აქ ისინი ამოიკითხავენ რომ ყოფილა არა ერთი და ორი ტანკი, რომ ქართველები ორხევთან მათ ლაჩრულად არ დახვედრიან და ზიანიც კი მიუყენებიათ და სხვა. ეხლა ბ. გენერალმა თვით ალადგინოს რომელი მტრის ტანკი რითი იყო შეიარაღებული.

რაც შეეხება ჯავშნიან ავტომობილებს მათი მოქმედების ობიექტი იყო შოსის გზა წითელ ხიდიდან —თბილისამდე (იხ. გ. «კრასნი ვოინი» № 801, 1921 წ. 16 აპრილი).

ბ. გენერალი ეხება რა გვარდიის ოფიცრობას ამბობს «რომ მათ რიცხვში ათი პროცენტი არ იყო ნამდვილი ოფიცრები. მათ მაგივრობას ეწეოდენ ომის დროინდელი პრაპორშჩიკები»-ო.

შევეკითხოთ ბ. გენერალს რამდენი ყავდა მას სამხედრო სასწავლებელში «ნამდვილი ოფიცერი»? ან თვით მუდმივ ჯარში რამდენი % იყო «ნამდვილ ოფიცრობის»?

როგორც ვიცი მას სამხედრო სასწავლებელში ყავდა რამოდენიმე «ნამდვილი ოფიცერი», დანარჩენი კი იყო «პრაპორშჩიკები»-დან, რომლებიც ზდიდენ იმავე იუნკრებს და ტაბახმელაზე გმირულად

იბრძოდენ. ბ. გენერალმა ჩამოთვალა მათი გვარები თავის «მოგონებაში».

გენ. ჩხეიძეს ცნობით ჩვენ გვყავდა «ცენზიანი» და «უცენზო» გენერლები. «უცენზო» გენერლებს ხომ ანადგურებს ბ. გენ. ჩხეიძე. ზოგიერთ «ცენზიან» გენერალს კი ძლიერ აქებს.

მაგალითად, ბ. გენ. ჩხეიძეს ცნობით «გენ. სუმბათაშვილი—ეს იყო გამოჩენილი და განთქმული დივიზიის უფროსი რუსეთის დასავლეთ ფრონტზეო». რა გააკეთა ამ «გამოჩენილმა» გენერალმა ჩვენ უკანასკნელ ომში?

გენერალი სუმბათაშვილი (მე-2 ქვ. ბრიგადის უფროსის თანაშემწე—მაშინ კი ფაქტიური ბრიგადის უფროსი) თავისი კალონით იდგა ბამბაკის ხეობაში. ამ კალონაში შედიოდა მე-5, მე-8 და მე-7 ქვ. ათასეულები, ცხენოსანი პოლკის 3 ესკადრონი, არტილერია და სხვა პატარა ნაწილები რიცხვით დაახლოვებით 3000-3500 ჯ. კ. ამ ნაწილებში მე 11 არმიის კომისრებმა, ვინმე ლაზიანმა და სეპიანმა, მოაწყვეს თავისი კომ უჯრედები, ჯარის ნაწილების ახლოს გახსნეს დუქნები, კონიაკებით ათრობდენ ჯ. კ. და ოფიცრებს, დაუახლოვდენ მათ, შეიტყვეს მთელი რიგი ჩვენი სამხედრო საიდუმლოებისა, შეაიარაღეს სომხების ბრბოები და 12 თებ. დილის პირველ საათზე თავს დაესხენ ჩვენ ჯარს—თითქმის თოფ-გაუსროლელად ტყვეთ ჩაიგდეს ორი ქვ. ათასეული მე-5 და მე-8 (გენ. ოდიშელიძეს ცნობით 1500 ჯ. კ.). ერთი ღამის განმავლობაში წითლებმა ხელში ჩაიგდეს მთელი ბამბაკის ხეობა შაგალიდან სადახლომდე.

ეს ცნობა მოთავსებულია ბოლშევიკების მიერ გაზ. «სოციალისტ ფედერალისტში» 1921 წ. № 21 (მემარცხნე ს–ფ). ზემო აღწერილს თვით გენერალი ოდიშელიძე ადასტურებს თავის მოხსენებაში შემდეგი სიტყვებით: «რომ მე-5, განსაკუთრებით კი მე-8 ათასეულებს არ ექეიფათ და ბავშები არ ენათლათ სომხებისთვის, არამედ ყოფილიყვენ ფხიზლად თავის საგუშაგოზე, ეს ამბავი არ მოხდებოდაო». მერმე ამბობს რომ აქ იყო უსათუოთ «კოლექტიური ბოროტმოქმედებაო».

სად სჩანს აქ «გამოჩენილ და განთქმულ» გენერალ სუმბათაშვილის თვალი?

რა გენერალია ის, რომელსაც რამოდენიმე საათის განმავლობაში ცუდათ შეიარაღებული ბრბო უტყვევებს პირველი ხაზის ჯარის მთელ შემადგენლობიდან თითქმის ორ მესამედს თუ არა ნახევარს მაინც.

ბ. გენერალი უსაყვედურებს გვარდიას რომ მას «არ ჰქონდა თავდადების სურვილი, არ იბრძოდა მთელი სულიერი დაჰიმვით». თბილისთან ბრძოლების დროს, როგორც არმიის, ისე გვარდიის ნაწილები უდაოთ იბრძოდა «სულიერი დაჰიმვით და თავდადებით». და თბილისის დატოვების შემდეგ, არც არმიას, არც სამხედრო სკოლას, არც გვარდიას არ უბრძოლია «სულიერი დაჰიმვით», ვინაიდან, ამბობს გენერალი ოდიშელიძე, «ჩვენი ჯარის გახრწნას ხელს უწყობდა პასიური უკან დახევითი ტაქტიკა ახალ მთავარ სარდლისა»-ო.

გენერალმა ჩხეიძემ უნდა იცოდეს რომ მხოლოთ და მხოლოთ სარდლის ნებისყოფას შეუძლია გამოიწვიოს ბრძოლაში ჯარის «სულიერი დაჰიმვა». ნებისყოფა ითხოვს ჯარის საშინელ «თავდადებას» შესაფერ მომენტში და ამ ნებისყოფას ბოლოს და ბოლოს მიყავს თავისი ჯარი გამარჯვებამდე...

საქართველოს შეიარაღებულ ძალების ნაშთნი მთავარსარდლობით და მთავრობით ბათუმში აღმოჩნდა. ყველას უკვირს და კითხულობს რა მოხდა! ჯარი ბრძოლაში დამარცხებული არ არის, ხოლო ქვეყანა მტრის ხელშია! ყველას დაბნეულობის ბეჭედი აზის. სარდლობა ბათუმშიაც ვერ მიხვდა რა შეცდომები დაუშვა და უკვირს ბათუმში როგორ მოხდა!

ამ დაბნეულობის და გაურკვევლობის საუცხოვო მაგალითს გვაძლევს გენ. ჩხეიძე შემდეგ სიტყვებში: «დედა-ქალაქიდან ჯერ კიდევ შორს არ ვიყავი მოცილებული, რომ გრძნობა მიყუჩდა, ცნობა გაურკვევლობამ შეიპყრო... სამშობლოს მოშორების წუთებს, ვიტყვი გულახდილად, ღრმა კვალი აღარ დაუმჩნევია ჩემზე. დიდი ხანია სამშობლო დაკარგული იყო...» («მხედარი» № 13, გვ. 69).

თუ გენერალ ჩხეიძისათვის, რომელიც ერთ-ერთი პასუხისმგებელი მეთაურთაგანი იყო—«დიდი ხანია სამშობლო დაკარგული იყო» და მის მოშორებას «ღრმა კვალი არ დაუმჩნევია» და თბილისთან ახლოს ბრძოლების დროს «გრძნობები მიყუჩებული ჰქონდა»—მაშ რა გასაკვირია თუ ომი წავაგეთ, სამშობლო დაგვეკარგა და ემიგრაციაში სამხედრო ხელმძღვანელთა «გაურკვევლობა» და «გრძნობების მიყუჩება» პოლიტიკურ დაჯგუფებათა ფარის ქვეშ შეხიზნულიყო.

აკ. კვიტაიშვილი.

◆

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა

მას შემდეგ, რაც ნეო-სოციალისტები საფრანგეთის სოციალისტურ პარტიიდან გავიდენ, ეს მეორეჯელ არის, რომ ისინი ნაციონალურ კონგრესს მართავენ. ამ კონგრესზე თავმოყრილი იყვნენ პარტიის 23 ათას წევრთა წარმომადგენელნი და მის დღის წესრიგში დასმული იყო მრავალი საორგანიზაციო და საპროგრამო საკითხები.

ნეო-სოციალისტების ოფიციალურ ლიდერათ და ხელმძღვანელათ რენოდელი ითვლება. ის ყველა მათზე მაღლა დგას თავისი პარტიული და პოლიტიკური გამოცდილებით, გამჭრიახობით და თითქმის ერთათ ერთია მათ შორის, რომელიც დიდის თავგამოდებით იცავს ჟორესის სოციალისტურ პრინციპებს და ტრადიციებს.

მაგრამ კონგრესზე რენოდელი არ სჩანდა, მისი მქუხარე და გრძნობით აღვსილი სიტყვები არ ისმოდა. ის დელეგატთა შორის იჯდა და უფრო ხშირათ მელანქოლიურათ გამოიყურებოდა. კრებებს ხელმძღვანელობდენ და მიმართულებას აძლევდენ ახალი ძალები: დეა, მონტანიონი, მარკე და სხვები. რენოდელი რამოდენიმე წუთით მხოლოთ ორჯელ ჩაერია კამათში. ერთხელ კონგრესის გახსნისას, როცა მან «სოციალისტურ ახალგაზდობის მილიტარიზაციის» და მგზავსათ ფაშისტების, თუ ჰიტლერელებისა მათ მიერ ამა თუ იმ ფერის პერანგების ტარების წინაალმდეგ სასტიკათ გაილაშქრა. მეორეჯელ რენოდელი ლაპარაკობდა კონგრესის დახურვის წინ. მისი წინადადება იყო კონგრესს მიემართა სოციალისტურ ინტერნაციონალისათვის, რათა ამ უკანასკნელს ნეო-სოციალისტები მიეღო თავის რიგებში ცალკე ფრანგულ სექციათ. რენოდელის წინადადებას კონგრესი არ შეხვედრია ენტუზიაზმით, თუმცა ის მიღებულ იქნა ერთხმათ.

ნეო-სოციალისტების ახალგაზდა ძალთა შორის მთავარი და ცენტრალური პიროვნება თავისი ცოდნით, ნიჭით და ორატორული ხელოვნებით უდავოთ მარსელ დეაა. და ისიც კონგრესის მუშაობას დიდ დალს ასვამდა.

დეა თავის მოხსენებაში პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ ამბობდა, რომ დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისიდან თავის დასაღწევათ ჩვენ ვერ დავეყრდნობით ძველ პარტიულ ფორმაციებსო. მისი აზრით საჭიროა მეტი და მთავარი ყურადღება მიექცეს შრომის გენერალურ კონფედერაციას და ყოფილ მეომართა ნაციონალურ ორგანიზაციებს, რომელთა პროგრამები თავიანთი შინაარსით დიდათ უახლოვდება ნეო-სოციალისტების მთავარ იდეებს. ჩვენი საერთო პროგრამის მთავარი დებულებები უნდა იყოს: დაგეგმილი ეკონომია, ბრძოლა სპეკულიაციის და გამფლანგველების წინააღმდეგ და სხვა. რადიკალებთან და ფრანგ სოციალისტებთან შედარებით, ამბობდა დეა, ნეო-სოციალისტები ინტელექტუალურათ და მორალურათ ყველაზე უფრო აქტიური ელემენტია ჩვენი ცხოვრებისა, მათ ირგვლივ უნდა მოხდეს გაერთიანება ზემოთ აღნუსხულ ძალებისა, რომელნიც ერთათ ადვილათ და თვალსაჩინო შედეგებით შესძლებენ არსებული მდგომარეობის რევოლიუციურათ გარდაქმნასო.

ნეო-სოციალისტების ერთი მთავარ დებულებათაგანი დღემდინ ის იყო, რომ მარტო პროლეტარიატის იმედით შორს ვერ წავალთ, აუცილებელია ამავე დროს დავეყრდნოთ საშუალო კლასებსაც, რომელიც თავისი მდგომარეობით ანტიკაპიტალისტურათ არიან განწყობილიო. პარიზის კონგრესზე კი ეხლა მონტანიონი ამტკიცებდა, რომ დღევანდელ ეკონომიურ კრიზისმა წარმოშვა კაპიტალიზმის ახალი ფორმა—ნეო-კაპიტალიზმი, რომლის ტენდენციაა წარმოებათა სინდიკალიზაცია და მასში წესრიგის შეტანა. ეს ნეო-კაპიტალიზმი არის მესამე ელემენტი, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთო. მონტანიონის ამ დებულებაში სოციალისტურ და არასოციალისტურ პრესამ სრულიათ სამართლიანათ ფაშისტურ კორპორატიზმის ჩანასახი დაინახა.

მარკე კონგრესს მოუთხრობდა იმ მდგომარეობის შესახებ, რომელშიდაც ის იძულებული გახდა მთავრობაში შესულიყო და მოითხოვდა კონგრესიდგან, რომ ის იქ ყოფილიყო არა მისი პირადი პასუხისმგებლობით, არამედ პარტიის საერთო სურვილით და მხარის დაჭერით.

საფრანგეთში შექმნილ დღევანდელ მდგომარეობის მთავარ მიზეზათ კი მარკე ბლუმს და მის პარტიას სთვლის, ამიტომ ის მოითხოვდა მარქსისტულ იდეოლოგიასთან და გედიზმთან ყოველგვარ კავშირის გაწყვეტას და მათ წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლის გამოცხადებას. მხოლოთ ასეთ პირობებში შევსძლებდით ჩვენ სხვების თანამშრომლობის მოპოვებასო.

რენოდელი, რომელიც არის ჟორესის ერთგული მოწაფე და მიმდევარი. სჩანდა მარკეს არ ეთანხმებოდა და ყველას გასაგონათ კონგრესზე ნაღვლიანათ წამოიძახებდა: «მე აღარ მესმის, საით მივდივართ»-ო.

კონგრესის მიერ მიღებული ყველა რეზოლიუციები შედეგია სხვადასხვა ტენდენციათა შორის წარმოებულ დიდი მოლაპარაკებისა და მომხდარ კომპრომისებისა.

დემოკრატიული პრინციპების მხრივ ეს რეზოლიუციები მისაღებია, სოციალისტური თვალთახედვით კი მათ ბევრი ნაკლი აქვთ.

⁂

გასული ივლისის 15-ს შეიკრიბა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭო, რომელმაც დიდი უმრავლესობით მიიღო კომუნისტების განმეორებითი წინადადება ფაშიზმის და ომის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისა და მიანდო ადმინისტრატიულ კომისიას შეედგინა პაქტის შესაფერი ტექსტი და მასზე ხელი მოეწერა.

27 ივლისს სოციალისტური და კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა ერთათ შეიმუშავეს და ხელი მოაწერეს პაქტს, რომლის მთავარი შინაარსია: ორივე მხარე ვალდებულებას იღებენ თავიანთ თავზე მოაწყონ საერთო კრებები და მთელი თავისი ძალღონით და შესაძლებლობით აწარმოონ ბრძოლა ფაშისტურ ორგანიზაციების წინააღმდეგ და მიიღონ ყოველგვარი ზომები ომის თავიდან ასაცილებლათ; აწარმოვონ ფართე კამპანია დემოკრატიულ თავისუფლებების დასაცავათ, პროპორციონალური წარმომადგენლობის შემოსაღებათ და დღევანდელი პარლამენტის დასათხოვათ; დაგმონ ფაშისტური ტერორი გერმანიაში და ავსტრიაში და მოითხოვონ გერმანელ კომუნისტების, ავსტრიელ სოციალდემოკრატების და ყველა დატყვევებულ ანტიფაშისტების განთავისუფლება; ამ საერთო მოქმედების დროს ორივე მხარე თავს იჭერს კრებებზე ერთი მეორეს თავს დაესხან და ერთმანეთის კრიტიკა აწარმოვონ; მაგრამ ამ საერთო მოქმედების გარეშე თვითოეული პარტია სავსებით დამოუკიდებელი და თავისუფალია აწარმოვოს პროპაგანდა თავისი იდეოლოგიისა თავიანთ რიგების გასამრავლებლათ და გასაძლიერებლათ, ისე რომ ერთმანეთ შორის რაიმე გინებას, ცილისწამებას და შეურაცყოფას არავითარი ადგილი არ ქონდეს.

⁂

20 21 ოქტომბერს პარიზში შეიკრიბა ფრანგ ნეო-სოციალისტების ცენტრალური საბჭო. ამ კრების დღის წესრიგში მთავარ საკითხათ მარკეს მთავრობაში მონაწილეობა იყო.

მარკეს მთავრობაში ყოფნამ დიდათ გაურთულა მდგომარეობა ნეო-სოციალისტების პარტიას და ამ უკანასკნელის რიგებში დიდი უკმაყოფილება დაიწყო. ბევრმა პარტია მიატოვა და ბევრი კიდევ წასვლით იმუქრებოდა, თუ მარკეს არ აიძულებდენ მთავრობა მიეტოვებინა, ან და, თუ ის ამაზე არ დათანხმდებოდა, ის პარტიიდან გაეძევებინათ. დუმერგის მთავრობის პოლიტიკა პარტიისათვის მიუღებელია და ის მოითხოვდა მარკესაგან ამ მთავრობასთან მას თავისი დამოკიდებულება საჩქაროთ გამოერკვია. უკვე საბჭოს კრების გახსნამდე ხათელი იყო, რომ დიდი უმრავლესობა მარკეს მთავრობიდან გამოსვლის მომხრე იქნებოდა. მარკეს სურვილი კი იყო, რადგანაც ის მთავრობაში პერსონალურათ და მისი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ იყო შესული, მისთვის მიეცათ საშუალება, მას თვითონ აერჩია მომენტი მთავრობიდან გასვლისა, როცა ის ამას საჭიროთ დაინახავდა. მარკემ იგრძნო რა, რომ მის აზრს ცენტრალური საბჭო არ გაიზიარებდა, დაასწრო და, სანამ კრება გაიხსნებოდა და ამ საკითხზე მსჯელობა იქნებოდა, პარტიის გენერალურ მდივანს წერილი მისწერა, და მას მისი პარტიიდან გასვლა აუწყა. ამით კრება ფაქტის წინაშე იქნა დაყენებული. ამიტომ მას ამ საკითხზე ბევრი აღარ უმსჯელია და მარკეს პარტიიდან გასვლა მიიღო და დაადასტურა. მარკე პარტიიდან გავიდა, მაგრამ ჟირონდის ფედერაცია, რომელიც მას მუდმივათ ირჩევდა დელეგატათ პარტიულ ყრილობებზე და რომელმაც დღესაც მარკეს თანაგრძნობა გამოუცხადა, პარტიიდან არ გასულა. ამნაირათ ნეო-სოციალისტების პარტიის და ჟირონდის ფედერაციის შორის დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ გარკვეულა და ის სრულ ნათელყოფას და გარკვევას მოითხოვს.

◆

პ ა რ ტ ი ა შ ი

როგორც გვატყობინებენ ბერლინში საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია კარგა ხანია არ არსებობს.

გამოვიდა რუსული გაზეთი «გოლოს ბორბი» (№ 1)—ორგანო საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროსი.

გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:

M-r P. Sardjveladze
9, rue Seguier 9. Paris (6)

◆

მხედრობათა ორგანიზაციებზე

პატ. რედაქტორო!

«ქართველ ყოფილ მხედართა ასოციაციის» გამგეობა უმორჩილესად გთხოვს მოათავსოთ ეს წერილი თქვენს პატივცემულ ორგანოში. ამასთანავე გაუწყებთ, რომ ამავე შინაარსის წერილს ჩვენ უგზავნით დასაბეჭდათ ყველა ქართულ ორგანოებს პარიზში.

«საქართველოს გუშაგში» (№ 8) ფსევდონიმის ქვეშ ჩასაფრებულმა ბატონმა «ა»-მ წიხლი ჰკრა «ქართველ ყოფილ მხედართა ასოციაციას». მართალია, წიხლი, რომ ვსთქვათ, სრულიად უმტკივნეულო იყო და პასუხადაც არ ღირს, მაგრამ სინამდვილე ესოდენ დამახინჯებულია, რომ გამგეობა თავის ვალად რაცხს ის იყოს აღდგენილი და გაშუქებული, რათა გააცნოს საზოგადოებას საქმის ვითარება.

ბ-ნი «ა»-ნი სწერს: «მხედრებთ აქვთ თავიანთი პროფესიული ორგანიზაცია «ქართველ მხედართა და შეფიცულთა კავშირის სახელწოდებით, სადაც თავმოყრილნი არიან ყველა ხარისხის მხედრები ღენერლებიდან იუნკრებ-შეფიცულებამდე. აქვთ საკუთარი პერიოდიული ორგანო «მხედარი»... არ ვუწყი, ნებსით თუ უნებლიეთ, მაგრამ დიდ იალღიში ხართ შესული ბატონო «ა». ასეთი ორგანიზაცია პარიზში არასოდეს არ არსებულა. მე ვაცხადებ ამას როგორც ყოფილი წევრი თქვენი სატრფო კავშირისა. თუ კი ამ წელს დაარსეს ასეთი ორგანიზაცია ეს მე არ ვიცი.

დიდი ხნიდან, შესაძლებელია 1923 წლიდან, პარიზში არსებობდა «ოფიცერთა კავშირი», რომლის წევრთა რიცხვი არ აღემატებოდა ოცდაათს. 1924 წლიდან მოყოლებული ეს რიცხვი თანდათან კლებულობდა, არამც თუ არ ქონია გადიდების ტენდენცია. ეს იყო წმინდა ოფიცერთა ჯგუფი და არა მთელი მხედრობისა. ვფიქრობ არ იქნება ზედმეტი ბ-ნო «ა» მოგახსენოთ ისტორია ამ კავშირების დაბადებისა:

პირველად ამ კავშირების დაბადების აზრი დაიბადა სტამბოლში 1923 წ. მაისში. იქ ხომ ბევრი იყო აფიცრობა. საჯარო კრებაზე აირჩიეს დამფუძნებელი კომიტეტი, რომელსაც დაავალა კრებამ პროგრამის შემუშავება. ამ კომიტეტში შედიოდენ: ღენ. ოდიშელიძე, დ. შალიკაშვილი, ფრ. წულუკიძე და ვ. ცხაკაია. საჯარო კრებამ ეს პროგრამა დაამტკიცა და მოისურვა, რომ გვეცნობებია საფრანგეთში და პოლონეთში მყოფ ოფიცრობისათვის, რათა მათაც დაარსონ ეგეთი კავშირები. ამავე წლის სექტემბერში ჩვენ ყველანი გავეღაგეთ სტამბოლიდან. მე კი გეახელით პარიზში და ოტომატიურად, წესდების ძალით, გავხდი წევრი ამ კავშირისა და ხშირად ვესწრებოდი კრებებს, არც ერთი ჯარისკაცი ჩვენს კავშირში არ ყოფილა. მხოლოდ 1931 წ. ივლისში, შეფიცულები მიეკედლენ ამ კავშირს, როგორც ჯგუფი პრივილეგიის ღირსი. ამ კრებაზე მეც გახლდით. ამ ჩვენი წრის ორბიტში ჯარის კაცების შეყვანაზე ლაპარაკიც არ ყოფილა.

1933 წ. 8 იანვარს დაარსდა ახალი საზოგადოება «ქართველ ყოფილ მხედართა ასოციაცია», სადაც მოექცნენ ყველანი, ვისაც მიუღიათ მონაწილეობა დიდ ომში და საქართველოს ომებში, მიუხედავად წოდებისა. ასე რომ ეს ახალი საზოგადოება არ გახლავთ, როგორც თქვენ მოიხსენიებთ, «წრე რამოდენიმე კაცისა», ვინაიდგან 117 წევრი ყავს, და თოთხმეტ კაცს გამგეობამ უარი უთხრა ამ საზოგადოებაში მიღებაზე.

ჩემთვის სრულებით ახალია რომ აფიცერთა კავშირს ქონია მისი ორგანო «მხედარის» სახელწოდებით: ამ კავშირს არავითარი ორგანო არ ქონია. ისიც ახალი ამბავია ჩემთვის, რომ ეს კავშირი [illegible] წარმოადგენდა ერთ ერთს სხეულს პოლონეთში მყოფ იუნკერთა კავშირთან. არავითარი კავშირი პარიზში მყოფ ოფიცერთა კავშირისა და პოლონეთში მყოფ იუნკერთა კავშირს შორის არ არსებულა. თუ მათ შორის ხიდი გაიდვა ეს უთუოდ მომხდარა რაც ტატიშვილი პარიზიდან პოლონეთში დაბრუნდა ე. ი. იანვრის 1933 წ. მე ვიცი მასთან პირად მოლაპარაკებიდან, რომ კავშირი მათ შორის არ არსებობდა და «მხედარი» არასოდეს ყოფილა ოფიცერთა კავშირის ორგანო.

შემდეგ განაგრძობთ: «ეს ორგანიზაცია წარმოადგენდა ყოველ ქართველ მხედართა სრულ გაერთიანებას, მაგრამ ბოლო დროს ამ წრეშიაც მოინახა რამოდენიმე კაცი, რომელიც ყოფილ მთავრობისა და მისი ფრონტის პოლიტიკას გაყვა და ამით მხედართა მთლიანობა დაარღვია». თუ იწერებით ამ მთლიანობის დარღვევაზე, ბარემ მოგეხსენებიათ ის მიზეზიც, რომელმაც გამოიწვია ამ მთლიანობის დარღვევა. თქვენ კი ამაზე სდუმხართ. რატომ? სწორეთ იმიტომ, რომ მისი ჩამოთვლა მართლა რომ ბევრს გაუწითლებს ლოყებს, უმეტესად მათ, ვინც იმყოფებოდენ და დღესაც იმყოფებიან ორ ბანაკში ქართველთა და მათ მტრისაცა. ახალ ასოციაციაში ასეთი პიროვნებები ვერ მოიკიდებენ ფეხს, ვინაიდგან კავშირის წევრებს ყურები აცქვეტილი აქვთ რომ მაგისთანები არ შემოძვრენ.

თქვენ ბრძანებთ ვითომდა მთელი მხედრობა გაერთიანებული იყო იმ კავშირში, რომლის ვექილობაც თქვენ გიკისრიათ. იმ კავშირში იყო სულ ოცდაათი წევრი: სად არიან სხვები, 170 კაცი, თანახმად თქვენ მიერ მიღებული რიცხვისა: ეგებ თქვენ არ ღებულობთ ჯარის კაცებს მხედრებათ: თუ ეს ასეა—მოგილოცავთ.

«ყოფილი მთავრობის და მისი ფრონტის პოლიტიკას გაყვაო» განაგრძობთ. უნდა მოგახსენოთ ბ-ნო «ა», რომ ყოფილ მხედართა ასოციაციაში არიან ყველა ჯგუფების წარმომადგენელნი. როდესაც ვინმე მოითხოვს საზოგადოებაში შემოსვლას, გამგეობა მას კი არ ეკითხება რომელი პარტიის არის ის, არამედ ის ეკითხება მთხოვნელს—იზიარებს ის საქართველოს დამოუკიდებლობას თუ არა. ეს გახლავთ ერთად ერთი ასოციაციის კრედო. პარტიულ ღვარძლზე ასოციაციაში კი ლაპარაკიც აღკრძალულია.

თუ კი ეს ასოციაცია მთავრობას და მის ფრონტს გაჰყვა რა არის მერე საკვირველი ამაში: ჯერ-ჯერობით მარტო ყოფილი მთავრობა და ფრონტი ეწევიან საქართველოს დამოუკიდებლობის ჭაპანს. თქვენთვის არ იქნება ახალი ამბავი ის, რომ ათას ბ-ნ «ა»-ს ხმას და ათას ვ. ცხაკაიას ხმას არ ექნება ის წონა, როდესაც ეს ხმა ეხება საქართველოს დამოუკიდებლობას, რა წონაც აქვს მთავრობის ხმას, ვინაიდგან მას უპყრია ხელთ ერის მიერ მინდობილი მანდატი. სანამ ეს მთავრობა ცოცხალია ეს ასე იქნება. ჩვენ კი პირად სიმპატიას თუ ანტიპატიას არ ვანებებთ ჩვენ თავს.

მომეცით ნება ბ-ნო «ა» შეგეკითხოთ, რაში ვესაჭიროებით ყოფილ მთავრობას ან ჩვენ ყოფილი მხედრები, და ან თქვენ? ვფიქრობ რომ სრულიად არაფერში. ბრძანებთ «მთავრობის და ფრონტის» პოლიტიკაო. სად არის და რაში გამოიხატება ეს პოლიტიკა? ჩვენ არა გვყავს ერი, არა გვაქვს ტერიტორია, არა გვყავს მინისტრები, არა გვყავს მთავრობა, არ გაგვაჩნია ჩვენი უბედური ემიგრანტული თავის მეტი არაფერი. მაშ სად არის ობიექტი ამ პოლიტიკისა, ამ დიდი სიტყვისა, რომელიც წარმოადგენს განუყოფელ ატრიბუტს დამოუკიდებელ ერისა. ეგებ თქვენ ეძახით პოლიტიკას ჩვენი კოლონიის კრებებზე ჯგუფების შეჯახებას? თუ ეს ასეა, ძალიან დაგიბეჩავებიათ თქვენ ეს სიტყვა და მისი მნიშვნელობა. მთავრობის და ფრონტის პოლიტიკას აქვს მხოლოდ ერთად ერთი მიზანი: აღდგენა ქართველი ერის შელახული სუვერენული უფლებისა. ყოფილი მთავრობა და ფრონტი ამ მიმართულებით მუშაობენ. ვინც ხელს უშლის მათ, ის არის მავნებელი არა მარტო მთავრობისა და ფრონტისა, ის არის გამცემი ქართველი ერისა.

თქვენივე ორგანო «გუშაგში» იყო აღნიშნული, რომ ამ მთავრობამ მიიღო საქართველოში 500.000 ხმა. საქართველოში ხომ ასი მილიონი მოსახლე არ არის და პატარა საქართველოსათვის ხუთასი ათასი ხმა ხომ დიდი რამ არის. მაშ რატომ გიკვირთ რომ ის ხალხი, რომელმაც მათ ხმა მისცა საქართველოში, აქ პარიზში არ განეთვისა მთავრობას, მით უფრო ის ხალხი, ოთხი წლის განმავლობაში რომ თოფი ეკავა ხელში და გულწრფელად იცავდა დამოუკიდებლობას და არ იცქირებოდა რუსეთისაკენ. თევზმა სთქვა: «სათქმელი ბევრი მაქვს მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო». ჩემ პირში წყალი გახლავთ უცხოეთში, ბ-ნო «ა»—თქვენც «სუ და მეც სუ».

დავშთები ქამ ყოველ ულრმესსა ამა ერთგულებასა «ქართველ ყოფილ მხედართა ასოციაციის» თავმჯდომარე

ვიქტორ ცხაკაია.

◆

შეცდომის გასწორება.

«ბრძოლის ხმის» № 47, გვ. მე-2, სვ. მე-2, ქვემოდან მე 7 სტრიქონი, კ. გვარჯალაძის წერილში, დაბეჭდილია—ბოლშევიზანურ პოლიტიკით უკმაყოფილო ბელგიის პარტიის მემარცხნე ფრთის პროფესიონალური კავშირების ბიურომ, რომელსაც სპააკი მეთაურობს, ამას წინეთ მიმართა და სხვა... უნდა იყოს—ბელგიის პარტიის მემარცხნე ფრთის (რომელსაც სპააკი მეთაურობს) ბოლშევიზანურ პოლიტიკით უკმაყოფილო პროფესიონალური კავშირების ბიურომ ამას წინეთ მიმართა და სხვა...

— წერილში—«საქარ. ხორც მეტნი»—დაბეჭდილია:—«40 წლის განმავლობაში უსვინდისოთ საქართველოს საუკეთესო შვილები». და სხ. უნდა იყოს: «40 წლ. განმავლობაში უსვინდისოთ საქართველოს საუკეთესო შვილები დაუხოცია». და სხ.

◆

ბ ი ა ნ კ უ რ შ ი

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება
დ. ყორყოლიანთან
93, Av. Ed. Vaillant, 93.

Arpajon— Imprimerie de La Gazettede Seine-et-Oise.

Le Gérant : René Toussaint.